

# საბა საქართველოს კათოლიკური კონფედერაციის მაცნე

№4  
აპრილი  
2008

წმიდა პავლეს წელი  
პეტრეპავლობა  
პაპი ავსტრალიაში  
ხიზაბავრა  
მიცვალებულთა დირსება

წმიდა პავლეს წელი

## წმიდა პავლე მოციქულის წელი დაიწყო

მარადიულ ქალაქში, რომში, წმიდა პავლეს ბაზილიკაში უმაღლესმა პონტიფექსმა, უწმიდესმა ბენედიქტე XVI-მ, მსოფლიო პატრიარქთან, უწმიდეს ბართლომეოსთან ერთად 28 ივნისს, ეკლესიის თავთა – პეტრე და პავლე მოციქულთა ხესნების წინა დღეს (იულიუსის კალენდრით ანუ ე.წ. წ. ძველი სტილით მოქმედი ეკლესიები ამ უძრავ დღესასწაულს 12 ივლისს აღნიშნავენ), საზეიმოდ გამოაცხადა 2008 წლის 28 ივნისიდან 2009 წლის 29 ინისის ჩათვლით წმ. პავლე მოციქულის საიუბილეო წლად.

ეს წელი არის ქრისტიანებისათვის საიუბილეო, ვინაიდან შესრულდა მოციქულ პავლეს დაბადებიდან 2000 წელი – ბიმილენიუმი. მარადიულ ქალაქში საიუბილეო წლების აღნიშვნის ტრადიცია 1300 წლიდან არსებობს და მიღიონობით მორწმუნე ქრისტიანი საიუბილეოდ გამოცხადებულ წელს ყოველ ღონეს ხმარობს, რათა ადასრულოს მომლოცველობა. საიუბილეო 2000 წელს, მიღენიუმის მომლოცველობაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს დელეგაციამაც. 2000 წლის მიღენიუმის მომლოცველობა დირსებულისანიშნავი მოვლენა გახდეთ საქართველოს ისტორიისთვისაც, რადგან ამ წელს რომის პაპმა იოანე-პავლე II-მ, თითქმის ხუთსაუკუნოვანი იძულებითი ინტერვალის შემდგომ, ხელი დაასხა სამოციქულო აღმინისტრატორს სამხრეთ კავკასიაში, ჯუზეპე პაზოტოს და იგი ეპისკოპოსად აკურთხა (დაწვრილებითი მასალა მიღენიუმის მომლოცველობის შესახებ იხილეთ გაზ. „საბა“ 2000 წ. იანვრის ნომერი). შეა საუკუნეებში, კერძოდ კი, 1329 წელს, საქართველოს სახელოვანი მეფის გიორგი V-ის თხოვნით თბილისში ლათინური წესის საარქიეპისკოპოსო კათედრა იქნა დაფუძნებული, ამ კათედრამ თითქმის ორი საუკუნე იარსება და დიდი როლი შეასრულა მონღოლების მიერ დაპყრობილ მცირე აზიაში ქრისტიანული რწმენის შენარჩუნების საქმეში.

უმაღლესმა პონტიფექსმა რომის წმ. პავლეს გალავანს მიღმა ბაზილიკაში ბიმილენიუმის გამოცხადებისადმი მიძღვნილი საგანგებო მსახურებისას აღნიშნა პავლე მოციქულის უდიდესი დამსახურება ქრისტეს ეკლესიის ჩამოყალიბებაში, ამ ბრძენი მოციქულის (რომელსაც წმ. პეტრესთან ერთად ეკლესიის თავებადაც მოიხსენიებენ), ეპუმენურ და მისიონერულ ღვაწლზე. პაპმა მოუწოდა ქრისტიანებს საიუბილეო წლის განმავლობაში არა მხოლოდ ილოცონ პავლე მოციქულზე, არამედ აქტიურად შეისწავლონ მისი სულიერი მემკვიდრეობა.

მსოფლიო პატრიარქმა უწმიდესმა ბართლომეოსმა, პაპის გამოსვლის შემგომ ქადაგებით მიმართა მართლმადიდებელ ქრისტიანებს და მანაც, ასევე მოციქულ პავლეს საიუბილეო წლად გამოაცხადა მიმდინარე წელი – 2009 წლის 29 ივნისამდე. მსოფლიო საპატრიარქო, ისევე როგორც მართლმადიდებელ ეკლესიათა უმრავლესობა, გრიგორიანული კალენდრით (ე. წ. ახალი სტილი) სარგებლობს. წმ. პავლეს წელი დაახლოების წლად უნდა იქცეს აღმოსავლეთისა და დასავლეთის ქრისტიანთათვის! ასეთ მოწოდებას შეიცავდა ორივე უზენაესი მღვდელმთავრის მიერ პავლე მოციქულის აკლდამაზე აგებული ტაძრიდან ერთობლივად გაკეთებული განცხადება, რომელიც მსოფლიოს მრავალი ტელეარხის მიერ იყო ტრანსლირებული 28 ივნისს.

## პაპის ბაზილიკა – „წმიდა პავლე გალავანს მიღმა”

### (SAN PAULO FUORI LE MURA)

წმიდა პავლეს აკლდამაზე აგებული ბაზილიკა მსოფლიოს ერთ-ერთი უძველესი და უდიდესი ტაძარია. იგი იმპერატორმა კონსტანტინე დიდმა IV საუკუნეში ააგო და იმ ტაძართა შორის ყველაზე უდიდესი ნაგებობა იყო, რომლებიც ქრისტიანთა დევნის შემდგომ იქნა აგებული რომის იმპერიის ქალაქებში.

პავლე მოციქული, პეტრე მოციქულთან ერთად, 67 წელს რომში იმპერატორ ნერონის მმართველობის დროს დასაჯეს სიკვდილით. რაკი პავლე რომის მოქალაქე იყო, იგი დირსების შენარჩუნებით, ანუ თავის მოკვეთით, დასაჯეს. სიკვდილით დასჯა კი, როგორც წესი, ქალაქისარეთ ადესრულებოდა, ამიტომაც პავლე მოციქული ქალაქიდან მოშორებით, ოსტიის გზაზე, რომის გალავნიდან, ორი კილომეტრის დაშორებით იქნა დასჯილი და შემდგომ იქნა დაკრძალეს. დღეს ეს ადგილი ქალაქის ერთ-ერთ ცენტრალურ უბანს წარმოადგენს. მოციქულის დაკრძალვის ადგილზე ქრისტიანებმა აკლდამა ააგეს, რომელიც იმთავითვე თაყვანისცემის ადგილად იქცა. IV საუკუნეში კი კონსტანტინემ ამ ადგილზე ტაძრის აგება ბრძანა. 324 წელს რომის პაპმა სილვესტრემ ბაზილიკა აკურთხა. ვინაიდან მოციქულის აკლდამა ქალაქის გალავანს გარეთ მდებარეობდა, იმთავითვე რომაულებმა ახლად აგებული ბაზილიკა ასე „მონათლეს“ – „წმიდა პავლე გალავანს მიღმა“. ეს სახელი ამ ტაძარს დღემდე შემორჩა.

284-395 წლებში იმპერატორების თეოდოსი დიდის, ასევე ვალენტინიანე II-სა და არკადიუსის შემოწირულობებით წმ. პავლეს ბაზილიკა გააფართოვეს და გაამშვენიერეს. 395 წელს, როდესაც პაპმა სილიციუსმა აკურთხა ტაძარი, მისი ზომები მართლაც შთამბეჭდავი იყო. ეს იყო მთელს აღმოსავლეთსა და დასავლეთ სამყაროში უდიდესი სატაძრო ნაგებობა და ათასობით მომლოცველს იტევდა. ბაზილიკის სიგრძეა – 131,6 მ, სიგანე – 65 მ, სიმაღლე – 30 მ. ტაძარი ხუთნავიანი ბაზილიკაა და ცენტრალური ნავის სიგანე 39,7 მეტრია. ტაძრის გადახურვა 80 გრანიტის სვეტზეა დაყრდნობილი. საკუთრივ ბაზილიკის გვერდით აგებულ იქნა 70 მეტრის სიგრძის ულამაზესი ატრიუმი. შემდგომ საუკუნეებშიც რომის პაპებმა თუ იმპერატორებმა არაერთგზის გაამშვენიერეს წმ. პავლეს ბაზილიკა. ეს ტაძარი, წმ. პეტრეს და წმ. იოანეს ბაზილიკებთან ერთად, პაპის ტაძარს წარმოადგენდა, ამიტომაც მას განსაკუთრებულ უურადღებას უთმობდნენ პაპები და მონარქები. ტაძრის მიმართ განსაკუთრებული ზრუნვის უზრუნველსაყოფად ტაძარში ბენედიქტელთა

სააბატოც დაფუძნდა და ბენედიქტელი ბერები საუკუნეების მანძილზე იღვწოდნენ წმ. პავლეს ბაზილიკისათვის.

ვ საუკუნეში წმ. პაპ ლეონ დიდის დროს ბაზილიკაში გამოსახულ იქნა მედალიონები, რომლებშიც წმ. პეტრედან მოყოლებული, ყველა რომის პაპის პორტრეტია ჩახატული. მედალიონების გალერეას ამჟამინდელი პაპის ბენედიქტე XVI-ის პორტრეტი აგვირგვინებს. დარჩენილია სულ რამდენიმე ცარიელი მედალიონი. ხალხში გავრცელებული თქმულების თანახმად, როდესაც შეივსება ყველა მედალიონი, მეორედ მოსვლაა მოსალოდნელი. ამ თქმულებაზე ტაძრის მღვდელმსახურებს ირონიულად ეღიმებათ და მარტივად პასუხობენ: „როდესაც შეივსება კედელზე გამოსახული მედალიონების რიგი, ახალ მედალიონებს (მეორე რიგს) მიახატავენ”.

შეა საუკუნეებში წმ. პავლეს ტაძრის ფასადი პიეტრო კავალინოს მიერ უმშვენიერესი მოზაიკით იქნა შემკობილი. არნოლფო დი კამბიომ გოთური სტილის ბალდახინით დაამშვენა ინტერიერი. 13-ე საუკუნეში ტაძრის ინტერიერის გაფორმებაზე მუშაობდნენ ნიკოლა დ'ანჯელო და ვაზალეტო. საუკუნეების განმავლობაში პაპის ტაძარი – „წმიდა პავლე გალავანს მიღმა” მიჩნეული იყო მსოფლიოს ყველაზე დიდ ტაძრად, სანამ 1626 წელს არ იკურთხა რომის წმ. პეტრეს ბაზილიკა.

სამწუხაროდ, 1823 წელს სანდარმა გაანადგურა ტაძრის უდიდესი ნაწილი – ადრეულქრისტიანული, ბიზანტიური, აღორძინების, ბაროკოს პერიოდის უნიკალური ქმნილებები. ბაზილიკის მხოლოდ მცირე ნაწილი გადაურჩა მძვინვარე სანდარს. 1840 წლისათვის აღდგენითი სამუშაოების ძირითადი ნაწილი უკვე დასრულებილი იყო და პაპმა გრიგორი XVI-მ აკურთხა განახლებული ტაძარი.

## საიუბილეო წლის მნიშვნელობა

1300 წელს როდესაც პაპმა ბონიფაციუს VIII-მ ქრისტიანთათვის მომლოცველობის საიუბილეო წელი აკურთხა, პაპის წმ. პავლეს ტაძარი, რომში მდებარე წმ. პეტრეს ბაზილიკასთან, წმ. იოანე და წმ. მარიამ დიდებულის ტაძრებთან ერთად გამოცხადდა მომლოცველობის წმიდა ადგილად. ჯერ კიდევ 332 წელს წმ. იოინეოსი წერდა „დიდი, ძველი, საყოველთაო ეკლესია დაარსებულია რომში ორი დიდებული მოციქულის პეტრესა და პავლეს მიერ”. პირველი საუკუნეებიდან მოყოლებული, ასეულათასობით ქრისტიანი ცდილობდა, სიცოცხლეში ერთხელ მაინც მოელოცა მარადიული ქალაქი და თაყვანი ეცა ამ ორი უდიდესი მოციქულის საფლავებისათვის. ბაზილიკები ხომ სწორედ იმ აკლდამებზეა აგებული, სადაც მოციქულთა წმიდა ნაწილებია დაცული.

პავლეს ბაზილიკის მთავარ სიწმინდეს საკურთხევლის ქვეშ მდებარე პირველი საუკუნის აკლდამა წარმოადგენს. აქვეა დაცული წმიდა ჯაჭვი, რომაული ბორკილი, რომელიც საპყრობილები მცველებმა დაადგეს დასასჯელად წაყვანილ პავლე მოციქულს. ტაძარში სხვა მრავალი სიწმიდეა დაცული და მომლოცველთათვის თაყვანისცემისათვისაა წარმოდგენილი.

წმ. პავლეს ტაძარი თითქმის საუკუნეა, რაც ქრისტიანთა ერთობის სიმბოლოდაც იქცა. ყოველი წლის 25 იანვარს, როდესაც აღევლინება ქრისტიანთა ერიანობისათვის მიძღვნილი ლოცვები, რომის პაპები საზეიმო მსახურებას სწორედ ამ ტაძარში ასრულებენ. 1959 წლის 25 იანვარს ნეტარმა პაპმა იოანე XXIII-მ სწორედ ამ ტაძრიდან აუწყა რომსა და მსოფლიოს ვატიკანის მეორე კრების მოწვევის შესახებ.

2007 წელის 30 მაისს, პაპმა ბენედიქტე XVI-მ წმ. პავლეს ტაძარი გამოაცხადა ექსტერიტორიალურ კომპლექსად. ამ ფაქტთან დაკავშირებით

კომენტარი ვთხოვეთ მის მაღალყოვლადუსამდგდელოესობას, წმინდა საყდრის ელჩს ამიერკავკასიაში, მთავარეპისკოპოს კლავდიო გუჯეროტის. მთავარეპისკოპოსმა განაცხადა, რომ „ექს-ტერიტორიალური კომპლექსის სტატუსის მინიჭება ნიშნავს, რომ ეს ტაძარი აღარ წარმოადგენს იტალიის სახელმწიფოს ტერიტორიას, არც რომელიმე სხვა სახელმწიფოს კუთხილებას. ეს ტაძარი არის საყოველთაო, იგი მსოფლიოს ყველა ქრისტიანის კუთვნილებაა და ფართოდაა გახსნილი მომლოცველობისათვის”.

ექს-ტერიტორიალურ კომპლექსად გამოცხადების შემდგომ ტაძრის წინამდგრად დაინიშნა კარდინალი ანდრეა კორდერო ლანცა დი მონტესემოლო, ცნობილი დიპლომატი და მრავალ სახელმწიფოში ნუნციუსად ნამსახურები მთავარეპისკოპოსი. კარდინალმა საქმაოდ მცირე დროში, ბენედიქტელთა ორდენის მონაწილეობით, ფართო სარესტავრაციო სამუშაოები ჩაატარა და 2008 წლის ივნისისათვის წმ. პავლეს ბაზილიკა სრულიად მომზადებული წარსდგა უმაღლესი პონტიფიცექსისა და ათასობით მომლოცველის წინაშე. სხვათა შორის, 28 ივნისს გამართულ საზეიმო მსახურებას საქართველოდან ჩასული ორი მომლოცველიც ესწრებოდა.

28 ივნისს ბენედიქტე XVI-მ პავლე მოციქულის დაბადებიდან ბიმილენიუმის შესრულებასთან დაკავშირებით, მიმდინარე წელი წმ. პავლეს წლად გამოაცხადა. ბიმილენიუმის იუბილეს მსოფლიო საპატრიარქოც შეუერთდა. იმედია ვიქონიოთ, რომ საიუბილეო წელს კათოლიკე და მართლმადიდებელი ქრისტიანები ერთობლივად მოილოცებენ წმ. პავლეს ბაზილიკასაც, უკეთ გაეცნობიან ქრისტიანობის დიდი მოციქულის წერილებსაც და ურთიერთდაახლოებისაკენ ნაბიჯებსაც გადადგამენ. ყოველ შემთხვევაში, ამისკენ მოგვიწოდებენ რომის პაპისა და მსოფლიო პატრიარქის ლოცვა-კურთხევა.

## ნუგზარ ბარდაველიძე

მამა პიერ დიუმულენი

წმ. პავლეს პიროვნება

”...ნურავინ ჩამთვლის უგუნურად. და თუ არა, ისე მაინც მიმიღეთ, როგორც უგუნური, რათა მცირეოდენით მეც ვიკვეხნო... (მე ქრისტეს მსახური გახლავარ)...

... მრავალგზის (ვყოფილვარ) სიკვდილის პირას. ხუთჯერ მივიღე იუდეველთაგან ორმოცხე ერთით ნაკლები დარტყმა. სამჯერ კვერთხით მცემეს, ერთხელ ჩამქოლეს და სამჯერ გემის მსხვრევა განვიცადე, დამე და დღე შუა ზღვაში დავყავი, მრავალჯერ მოგზაურობებში, განსაცდელში მდინარეებზე, განსაცდელში ყაჩაღებისაგან, განსაცდელში თანატომელთაგან, განსაცდელში წარმართთაგან, განსაცდელში ქალაქად, განსაცდელში უდაბნოდ, განსაცდელში ზღვაზე, განსაცდელში ცრუ ძმათა შორის, შრომასა და გაჭირვებაში, გამუდმებულ სიფხიზლეში, შიმშილსა და წყურვილში, გამუდმებულ მარხულობაში, ყინვასა და სიშიშვლეში. კიდევ გარდა სხვათა, დღითი-დღე რომ მიხდება: ზრუნვა ყველა ეკლესიაზე. ვინმე დაუძლეურდა და მე არ დავუძლეურდი? ვინმე დაბრკოლდა და მე არ ავენთე?.. დამასკოში მეფე არეტას ოლქის განმგებელი დარაჯობდა დამასკელთა ქალაქს, რათა შევეპყარი. სარკმლიდან გადმომიშვეს გოდრით კედელზე და ხელიდან დავუსხლტი მას.

მართლაც სასარგებლო არ არის ჩემთვის კვეხნა... ჩემი თავით კი არ დავიკვეხნი, მხოლოდ ჩემი უძლურებებით... და მითხრა (უფალმა): ”გეყოფა ჩემი მადლი, ვინაიდან უძლურებაში ხდება სრულყოფილი ჩემი ძალა”... ამიტომ კმაყოფილი ვარ

უძლურებაში, შეურაცხყოფაში, გაჭირვებაში, დევნაში და შევიწროებაში ქრისტეს გულისათვის. ვინაიდან როცა უძლური ვარ, მაშინ ვარ ძლიერი... მე თქვენ გეძებთ და არა თქვენსას... ხოლო მე ხალისით დავიხარჯები და გამოვიფიტები თქვენი სულებისათვის, თუმცა მიუხედავად ჩემი თქვენდამი დიდი სიყვარულისა, ნაკლებად გიყვარვართ... ღვთის წინაშე ვლაპარაკობთ ქრისტეში და ყოველივე ეს, საყვარელნო, თქვენს აღსაშენებლადაა... ნუთუ არ იცნობთ საკუთარ თავს, რომ თქვენშია იესო ქრისტე?..” (2 კორ. 11-13).

ო, პავლე! მე გხედავ შენ, უფსკრულის თავზე ჩამოკიდულ გოდორში, დამასკოს ცაში აღმართული კედლის მიღმა. მე გხედავ შენ - უდრეკს, მამაცს, რომელიც დღედაღამ ებრძვი ხმელთაშუა ზღვის აზვირთებულ ტალღებს. მე გიცანი შენ - საქსოვ დაზგაზსთან ღამღამობით თვალის დაბინდვამდე რომ შრომობ დაუღალავად. შენ მტკიცე და უშიშარი ხარ, ქედმაღალიც კი, მმართველთა და მეფეთა წინაშე, თავმდაბალი და მოკრძალებული - კორინთელ მეზღვაურებსა და გალატელ გლეხებთან მიმართებაში.

რამდენი კილომეტრი გაიარე? ამას ვერასდროს ვერავინ იტყვის... ვარაუდობენ კი 30 ათასს... მე გხედავ შენ ფეხით მოსიარულეს თუ სახედარზე ამხედრებულს მცირე აზის დამტვერილ გზებზე, შუა ზღვაში ძველ გემზე, ქარი რომ მიაქანებს ულმობლად... მაგრამ მუდამ სული ღმრთისა გიძლვება შენ. რამდენი დღე, თვე თუ წელიწადი გაატარე შენ საპყრობილები, ტანჯულმა, მძიმე სენით დაავადებულმა?.. მაგრამ ყოველთვის იბრძოდი.

მე მინდა გისმინო, პავლე, მაშინ, როცა შეუპოვრად მიმართავ გააფთრებულ ბრბოს და ადამიანთა გულებს ინადირებ. მაგრამ განსაკუთრებით ახლოს ხარ ჩემთან, როცა ქრისტეს სიყვარულს ქადაგებ. და, როცა შენ ქრისტეს სულს უგალობ, ჩვენი გულის სიღრმეში გვესმის მისი ღაღადი: ”აბბა, მამაო!”

### 1. აბსოლუტისკენ ლტოლვა.

”...რაც ჩემთვის მოგება იყო, წაგებად ჩავთვალე ქრისტეს გულისათვის. ახლაც ყველაფერი წაგებად მიმაჩნია ჩემი უფლის იესო ქრისტეს ცოდნის უპირატესობისთვის, რის გამოც უარი ვთქვი ყოველივეზე და ყველაფერს ნაგვად მივიჩნევ, რათა ქრისტე შევიძინო და აღმოვჩნდე მასში... რათა შევიცნო იგი და მისი აღდგომის ძალა და მის ტანჯვებში თანაზიარება და მის სიკვდილს ვემსგავსო, რათა, როგორმე მივწვდე მკვდრეთით აღდგომას. არა იმიტომ, რომ უკვე მივაღწიე ან სრულქმნილი გავხდი, არამედ ვისწრაფი, ვინძლო მივაღწიო, როგორც მე მომაღწია ქრისტე იესომ... ერთია, რომ ვივიწყებ, რაც ჩემს უკან არის, და იმას ველტვი, რაც ჩემს წინ არის, ვილტვი მიზნისკენ...” (ფილიპ. 3, 7-14).

”ის არის ჩემი რჩეული ჭურჭელი” (საქმე. 9, 15).

ებრაელი, ბერძენი თუ რომაელი?.. პავლე თავისი წარმოშობითაც განსაკუთრებული ადამიანია. მისი მშობლიური ქალაქი ტარსუსი მდებარეობს იმ გზების გადაკვეთაზე, რომლებიც მცირე აზიას (ესე იგი საბერძნეთსაც) ახლო აღმოსავლეთთან - სირიასა და სპარსეთთან - აგრეთვე ინდოეთში მიმავალ გზასთან აკავშირებს. ჩრდილო-დასავლეთით ანატოლიიდან გადმოსასვლელს ”კილიკიის კარიბჭე” იცავს. ეს ხეობა ტაურუსის მაღლობში ღრმადაა შეჭრილი. აღმოსავლეთით მდებარე ”სირიის კარიბჭე” გზას ანტიოქიისკენ გვიხსნის. აქედან მიმავალ გზას კი პალესტინაში, არაბეთსა და ეგვიპტეში მივყავართ. ქალაქის სამხრეთ ნაწილში ხმელთაშუა ზღვის

ერთ-ერთი უდიდესი პორტია გაშლილი, საიდანაც ყოველდღიურად ქსოვილებით დატვირთული გემები რომისკენ, კართაგოსა და ალექსანდრიისკენ იღებენ გეზს. ძვირადღირებული სანელებლებით სავსე გემები მდინარე სიდნუსით ქალაქის შუაგულისკენ მიემართებიან. კილიკიის დედაქალაქის, ტარსუსის, მთავარ სიმდიდრეს თხის ბეწვის უხეში ქსოვილი - მამა - წარმოადგენს. ეს ქსოვილი კარვების დასამზადებლად გამოიყენებოდა, მაგრამ სამოსის შესაკერად სრულიად უვარგისი იყო. სავარაუდოდ, პავლეს ოჯახი ქსოვილების კომერციით იყო დაკავებული და ხმელთაშუაზღვის მრავალ პორტში სავაჭროები ჰქონდა გახსნილი. გასაკვირი როდია, რომ პავლე თავის ეპისტოლებში ხშირად მიმართავს და მოიკითხავს მრავალრიცხოვან ნათესავებს. ამ სანათესაო კავშირების წყალობით პავლე თავისი მოგზაურობების დროს ადვილად პოულობს თავშესაფარს. პავლე მამამისის სახელოსნოში საფეიქრო საქმეს ითვისებს და ვაჭრობაშიც საკმაოდ კარგად ერკევა. ყოველივე ეს ხელს უწყობს მის მატერიალურ უზრუნველყოფას მთელი ცხოვრების მანძილზე.

ტარსუსი - დიდი ბერძნული კოლონიაა, თავისი გიმნასიუმებით, სკოლებით, თეატრებითა და ტაძრებით. ქალაქის მოსახლეობა ორასიდან სამას ათასამდე ადამიანს შეადგენდა. პირველი საუკუნის გამოჩენილი გეოგრაფი, სტრაბონი, გვატყობინებს: ”ტარსუსის მაცხოვრებლები იმდენად არიან გატაცებულნი ფილოსოფიით და გამსჭვალულნი ენციკლოპედიური ცოდნის სულისკვეთებით, რომ ამ ქალაქმა ჩრდილში მოაქცია თავისი ფილოსოფიური წრეებითა თუ სკოლებით ცნობილი ქალაქები, ისეთები, როგორებიცაა ათენი, ალექსანდრია და მრავალი სხვა. ტარსუსში არის სკოლები, სადაც თავისუფალ ხელოვნებათა ყველა სახეობა ისწავლება” (სტრაბონი, გეოგრაფია, 14, V, 13).

ბერძნებმა ახალგაზრდა სავლეს პავლე დაარქვეს. მისი იუდაური სახელი გვახსენებს ისრაელის ერთ-ერთი პირველი მეფის სახელს. წარმოშომით ეს მეფე ასევე ბენიამინის ტომიდან იყო. ბერძნულ ენაზე ეს სახელი სხვა ელფერს იძენს და მეტისმეტად განაზებულ ადამიანს ნიშნავს. თუმცა ორმაგი სახელის გამოყენება დიასპორის ებრაელთა შორის საკმაოდ გავრცელებული იყო. განათლება, რომელიც პავლემ ტარსუსის სკოლებში მიიღო, გახსნილი იყო თავისი დროის პრობლემებთან მიმართებაში. პავლე ჩაფლულია ჭეშმარიტების, სიკეთისა და მშვენიერების ძიების სამყაროში, ანუ ბერძნულ სამყაროში, სადაც ყოველივეს საზომი - ადამიანია. ეს ნიშნავს შეიმეცნო იგი ყველა ჰიპოსტასით: მშვენიერი სხეულით, სამშვინველით, რომელსაც სიხარული და მშვიდობა სწყურია, ღმრთისაგან შთაბერილი სულით, ადამიანის არსების გულის სიღრმეში რომ არის დავანებული.

ზოგიერთი ფილოსოფოსის წარმოდგენით ჭეშმარიტების ძიება - იდეალი, ბრძოლაა, რომელიც ადამიანის ცხოვრების უმნიშვნელოვანეს მომენტებში მის არჩევანს განაპირობებს. პავლე ამ თამაშში შედის და ძიებას მიეცემა: იგი გონიერი, ცოდნისმოყვარე და მგზნებარეა, სიღრმისეული წვდომით გამოირჩევა. პავლეს შემდგომი გამოსვლები და წერილები ადასტურებენ მის ადრეულ გატაცებას ფილოსოფიითა და რიტორიკით. ათენში, არეოპაგის წინაშე, როცა პავლე ერთი ღმერთის შესახებ საუბრობს, იგი იხსენებს წინა წლებში ნასწავლს და ტარსუსელი პოეტის ცნობილი გამონათქვამი მოჰყავს: ”მას ვეკუთვნით ჩვენ და მთელი მოდგმა.” პავლეს მიერ მოყვანილი სხვა გამონათქვამი უეჭველად პითაგორასა თუ კლეანთეს სწავლებას იმეორებს: ”ჩვენ მისით ვცოცხლობთ, ვმოძრაობთ და ვარსებობთ.”

პავლე - იუდეველი, რომელიც ბერძნულ კოლონიაშია დასახლებული - ფლობს რომის მოქალაქის საპატიო პრივილეგიას, რაც ძალზე იშვიათია იტალიის

ნახევარკუნძულის ფარგლებს გარეთ. შემდგომში, მოგზაურობების დროს, იგი არაერთხელ ისარგებლებს ამ პრივილეგიით: საკუთარი სიცოცხლის გადასარჩენად ან მისი პიროვნებისადმი სათანადო პატივისცემის მოთხოვნისთვის, რომლის სრული უფლება გააჩნია. როგორ გახდა ეს შესაძლებელი? ვარაუდობენ, რომ პავლეს ოჯახი დაეხმარა რომაელებს მშვიდობის დამყარებაში ერთ-ერთი აჯანყების დროს. შესაძლოა, ეს პრივილეგია მოპოვებული იქნა მის გამოჩენილ წინაპართა მიერ ჭალაქისთვის გაღებული უხვი ძლვენის წყალობით.

ერთი სიტყვით, პავლეს პიროვნებაში თავმოყრილია ყოველივე საუკეთესო, რისი შეთავაზებაც შეეძლო პირველი საუკუნის ცივილიზაციას ახალგაზრდა ადამიანისთვის. ამავდროულად, მას ისეთი თვისებებიც გააჩნია, რისი მოცემაც არც ერთ ცივილიზაციას არ ძალუმს: ჭეშმარიტებისკენ ლტოლვა და სულიერი სიმტკიცე.

### ”გამალიელის ფერხთით” (საქმე. 22, 3).

უწინარეს ყოვლისა, პავლე - დიასპორის იუდეველია, ანუ ის, ვინც ეკუთვნის განდევნილთა ერთ-ერთ საკრებულოს. ეს საკრებულო გაფანტული იყო მთელ ოიკუმენაში და იმპერიის მოსახლეობის მეთოთხმეტედ ნაწილს წარმოადგენდა, რაც, დაახლოებით, ოთხ მილიონზე მეტ ადამიანს უდრის. თავის დროზე დაქაქსული ხალხი ძირითადად რომში, ალექსანდრიასა და ბაბილონში დასახლდა. მათი რელიგია აღიარებული იყო სახელმწიფოს მიერ, ისინი გარკვეული პრივილეგიებით სარგებლობდნენ: მათ ნებას რთავდნენ იერუსალიმის ტაძრისთვის ძლვენი გაეგზავნათ და სამხედრო სამსახურიდანაც ათავისუფლებდნენ. ეს მორწმუნები თავის ნაციონალურ და რელიგიურ იდენტურობას დიდი შემართებით იცავდნენ, ხოლო მათი შეკრების, სწავლისა და კულტის ადგილს სინაგოგა წარმოადგენდა.

სავლე საკუთარი თავის შესახებ მოგვითხრობს: ”წინადაცვეთილი ვარ მერვე დღეს, მე, ისრაელიანი, ბენიამინის ტომიდან, ებრაელი ებრაელთაგანი, რჯულით ფარისეველი” (ფილიპ. 3, 5). ტარსუსის ფილოსოფიურ წრეებში სწავლის დამთავრების შემდეგ, შემეცნების წყურვილმა მიიყვანა იგი იერუსალიმში, იმ დროის უდიდესი მასწავლებლის, რაბი გამალიელის სკოლაში.

ხუცესად წოდებული გამალიელ პირველი ჰილელის მოწაფე იყო. ჰილელმა კი საფუძველი ჩაუყარა ფარისევლობის ყველაზე გახსნილ მიმართულებას, რომელიც პროზელიტობას სცნობდა. ერთხელ, ორმოცდაათობის დღის შემდეგ, გამალიელი ახლად დაბადებული ეკლესიის დასაცავად გამოვიდა: ”წამოდგა სინედრიონში ერთი ფარისეველთაგანი, სახელად გამალიელი, რჯულის მოძღვარი, მთელი ხალხის მიერ პატივდებული, და ბრძანა: ”...ჩამოშორდით ამ ხალხს და მოქვით მათ, ვინაიდან, თუ კაცისაგან არის ეს ზრახვა ანდა საქმე, ჩაიფუშება, ხოლო თუ ღვთისაგან არის, მაშინ თქვენ ვერ ჩაფუშავთ მას და, ვაითუ, ღვთის მოწინააღმდეგენი აღმოჩნდეთ” (საქმე. 5, 34-39). გამალიელის სწავლება მარტივი და ტრადიციულია: იყავი მოწაფე აარონისა, რომელსაც მშვიდობა უყვარდა, იზრუნე მშვიდობაზე, გიყვარდეს ადამიანები და ისინი რჯულთან მიიყვანე; იპოვე მასწავლებელი, ეჭვებში ნუღარ დარჩები. სავლეს თავისი მასწავლებელი ნაპოვნი ჯერ არ ჰყავდა.

ეს ახალგაზრდა ფარისეველი ჯერ ოცდაათი წლისაც არ არის. იმ მღელვარებით აღსავსე ეპოქაში, როცა ვინმე ნაზარეველი იესოს მოწაფეები შფოთსა და არეულობას თესავენ ხალხში, იგი თავგამოდებით იცავს წინაპართა სჯულს. ”დისიდენტთა” გავლენის ქვეშ ძირითადად ბერძნული სამყაროს ახლად მოქცეული წარმომადგენლები, ელინისტები, ხვდებიან. მეამბოხეთა გამოსვლები აუტანელია:

ისინი ეჭვს ქვეშ აყენებენ ტაძრის სიწმინდეს და უძველესი რჯულის წინააღმდეგ გამოდიან, რჩეული ხალხის ქცევას კიცხავენ და, რაც მთავარია - ცდილობენ თავისი ჯვარცმული წინასწარმეტყველად და მესიად გამოაცხადონ. საკუთარ სიმართლეში დარწმუნებული ფარისეველისთვის ყოველი, ვინც ამგვარ პროპაგანდას ეწევა, სიკვდილით დასჯას იმსახურებს.

სწორედ ამ დროს აკავებენ ვინმე სტეფანეს, რომელიც დანაშაულზე იქნა წასწრებული. იგი - მხურვალე მოქადაგე და ელინისტი - შეპყრობილია მკრეხელური გამოსვლებისა და ხალხის შეცდენის მცდელობისთვის. პატიება უკვე შეუძლებელია - უნდა ჩაიქოლოს. მოწმეებს ეს ღმრთის მგმობელი ქალაქგარეთ გაჰყავთ, თავის მოსასხამებს კი სავლეს უტოვებენ, რომელიც აյ ხალხის შეძახილებმა მოიყვანა და ზიზღითაა სავსე. იგი ცივი გულით, აუღელვებლად შესცეკრის განაჩენის აღსრულებას. ვინ იცის, მათ თვალიც კი გაუსწორეს ერთმანეთს? სტეფანემ მზერა აღაპყრო ზეცისკენ და უფალს მოუხმო: ”უფალო იქსო, მიიბარე ჩემი სული,” - მუხლი მოიყარა და ხმამაღლა შეპღალადა: ”უფალო, ნუ მიუთვლი ამათ ამ ცოდვას” (საქმე. 7, 59-60).

მაგრამ სავლემ ვერაფერი გაიგო და შეუდგა ამ მანკიერ სწავლებასთან თავდაუზოგავ ბრძოლას. იგი ”არბევდა ეკლესიას, იჭრებოდა სახლებში და ძალით გამოჰყავდა მამაკაცები და დედაკაცები, და საპყრობილები ჰყრიდა მათ” (საქმე. 8, 3). შემდგომში კი ქრისტესთვის სავლე თავად განუდგა იუდეველთა სჯულს და ამ განდგომის საიდუმლო მისთვის მარადიულ ტანჯვად იქცა. თავის დროზე თვითონაც უარყოფილი იქნება იუდეველთა მიერ და იძულებული გახდება მხოლოდ წარმართებთან ქადაგებით დაკმაყოფილდეს:

”პირველად თქვენთვის უნდა თქმულიყო ღვთის სიტყვა, მაგრამ ვინაიდან უარყოფთ მას და თქვენ თვითონვე საუკუნო სიცოცხლის უღირსად მიგაჩნიათ თავი, მაშინ ჩვენ წარმართებს მივმართავთ” (საქმე. 13, 46).

თავის ძმებზე პავლეს ზრუნვა მუდამ სიყვარულით აღსავსე სიტყვებით გამოიხატება: ”ჭეშმარიტებას ვლაპარაკობ ქრისტეში, არა ვცრუობ, ჩემი სინდისი მიმოწმებს სულიწმიდაში, რომ დიდია ჩემდა მწუხარება და განუწყვეტელია ჩემი გულის ტანჯვა. წეტავ მე თვითონ ვყოფილიყავი ქრისტესაგან მოკვეთილი ჩემი ძმებისთვის, ჩემს ხორციელ თვისტომთათვის, რომელნიც ისრაელიანები არიან და ეკუთვნით შვილება და დიდება, აღთქმანი და რჯულმდებლობა, მსახურებანი და დაპირებანი. მათნი არიან მამანი და მათგანაა ხორციელად ქრისტე, რომელიც არის ღმერთი ყოველთა ზედა, უკუნისამდე კურთხეული...” (რომ. 9, 1-5). ”.რამდენადაც წარმართთა მოციქული ვარ, ჩემს მსახურებას ვადიდებ. ნეტა შემძლებოდა შურის გაღვივება ჩემს ახლობლებში და ზოგიერთი მათგანის ხსნა” (რომ. 11, 13-14). ”სე მთელი ისრაელი გადარჩება...” (რომ. 11, 26). ”ვინაიდან უცვალებელია ღვთის ნიჭი და მოწოდება” (რომ. 11, 29).

ფრანგულიდან თარგმნეს  
ალექსანდრა მარგველაშვილმა და მანანა სულაძემ

კათოლიკე ეკლესია მსოფლიოში

ახალგაზრდობის საერთაშორისო დღეები სიდნეიში

15 ივლისს სიდნეიში საზეიმო წირვით გაიხსნა კათოლიკე ახალგაზრდობის საერთაშორისო დღეები. ეს ღმრთისმსახურება გახდა პირველი დიდი მოვლენა საზეიმო კვირისა, რომელიც 20 ივლისამდე გაგრძელდა.

4000 მდგრელმა, 400 ეპისკოპოსმა და 26 კარდინალმა მიიღო მონაწილეობა საზეიმო გახსნაში. ზემის გახსნას სიდნეის მთავარეპისკოპოსი ჯორჯ პელი ხელმძღვანელობდა. ათასობით მომლოცველი მოედინებოდა სიდნეის ცენტრისკენ. ქუჩები ყველა ქვეყნის დროშით და საზეიმო ტრანსპარანტებით იყო მორთული. დარღინგ-ჰარბორში აღიმართა ახალგაზრდობის საერთაშორისო დღეების ორი სიმბოლო – “მომლოცველთა ჯვარი” და ღმრთისმშობლის ხატი, რომლებიც მთელი წლის განმავლობაში მოგზაურობდნენ მთელს ავსტრალიაში.

უწმიდესი პაპი სიდნეიში 13 ივლისს ჩამოფრინდა და სამი დღე ოპუს დეის საპრელატოს “კენტურსტ სტადის” ცენტრში დაჭყო. აქ მან დაისვენა ხანგრძლივი გადაფრენის შემდეგ და საზეიმო დღეებში მონაწილეობისთვის მოემზადა.

17 ივლისს, დილით, შედგა უწმიდესი პაპის შეხვედრა გენერალურ-გუბერნატორ ჯეფერისთან და პრემიერ მინისტრ რუდორან. შემდეგ პონტიფექსი პირველი ავსტრიელი ნეტარის, წმიდა იოსების დების კონგრეგაციის დამარსებლის, მერი მეკილოპის სამლოცველოს ეწვია. სადილის შემდეგ ბენედიქტე XVI ულამაზეს პორტ როზ-ბეიში გაემართა, საიდანაც გემით “სიდნეი 2000” ბარანგარუს უურისკენ გაემგზავრა. აქ იგი ავსტრალიელ აბორიგენთა ჯგუფს შეხვდა.

18 ივლისს, წირვის შემდეგ სიდნეის კათოლიკურ საკათედრო ტაძარში ეპუმენური შეხვედრა გაიმართა. კარდინალ პელისა და ანგლიკანი ეპისკოპოსის ფორსაიტის მისასალმებელი სიტყვების შემდეგ პონტიფექსმა სიტყვით მიმართა და-ეკლესიების წარმომადგენლებს. შემდეგ ბენედიქტე XVI ავსტრალიის იუდაური და ისლამური თემების წარმომადგენლებს შეხვდა.

ჯვრის გზაში, რომელიც ტრადიციულად ამ დღესასწაულის განუყოფელ და მეტად საზეიმო ნაწილს წარმოადგენს, ათასობით ადამიანმა მიიღო მონაწილეობა.

სადამოს უწმიდესი პაპი სიდნეის ნოტრ-დამის უნივერსიტეტის სარეაბილიტაციო ცენტრს ეწვია, სადაც ამ ცენტრის სამეურვეო ახალგაზრდებსა და მათ ოჯახებს შეხვდა. უნივერსიტეტის წმიდა გულის ტაძარში, სადაც შეხვედრა მიმდინარეობდა, 240 ადამიანი შეიკრიბა. პაპმა ნუგეშისა და სამოძღვრო სიტყვით მიმართა ახალგაზრდებს, რომლებიც ნარკომანიის საშინელი სენისგან განკურნებას ცდილობენ.

შაბათს, 19 ივლისს, ბენედიქტე XVI წმიდა მარიამის საკათედრო ტაძარში გაემართა, სადაც ავსტრალიაში მოდგაწეს მდგრელმთავრებთან, სემინარიის სტუდენტებთან და სამონაზვნო ორდენების წარმომადგენლებთან ერთად წმიდა წირვა აღავლინა.

სადამოს პონტიფექსი რენდვიკის იპოდრომზე გაემართა, სადაც სიტყვით მიმართა ათასობით ახალგაზრდას. გთავაზობთ რამდენიმე ამონარიდს მისი ქადაგებიდან:

”გულითა და გონებით მიიღეთ სული წმიდის შვიდი ნიჭი! აღიარეთ სული წმიდის მოქმედება თქვენს ცხოვრებაში და იწამეთ იგი! ჩვენ გვჭირდება მისი პიროვნების შეცნობა და ჩვენს ცხოვრებაში მისი ცხოველმყოფელი მოქმედების შეგრძნება. ეს არ არის ადვილი. და მაინც, ჩვენ ვიცით, რომ სწორედ სული წმიდა გვიჩვენებს გზას და გვხელმძღვანელობს იქსო ქრისტეს მოწმობისას. (...) სული წმიდა აფუძნებს ქრისტეს ერთგულთა ერთობას. ახლა იგი თქვენში მოქმედებს. ეცადეთ, რომ გამაერთიანებელი სიყვარული იყოს თქვენი საზომი, მარადიული სიყვარული გახდეს თქვენი დავალება, სიყვარულის გაცემა იყოს თქვენი მისია! (...) იყო ჭეშმარიტად ცოცხალი, ნიშნავს შეიგრძნო შინაგანი

ფერისცვალება, გაიხსნა დმრთის სიყვარულისთვის. სული წმიდის ძალის მიღებით თქვენი ოჯახების, თემების, ერების შეცვლასაც შეძლებთ. გამოანთავისუფლეთ ეს ნიჭები! და სიბრძნე და გონება, განსჯა და სიმკიცჲ, ცოდნა და დმრთისმოსაობა იყოს ნიშანი თქვენი დიდებისა!

ახლა კი, როდესაც მდუმარედ ემზადებით წმიდა საიდუმლოების მისაღებად, ვიმეორებ თქვენს წინაშე ნეტარი მერი მაკილოპის სიტყვებს, რომლებიც მან 26 წლის ასაკში წარმოთქვა: “იწამე, რასაც დმერთი შენს გულს უჩურჩულებს”. იწამეთ იგი! იწამეთ სიყვარულის სულის ძალა!”

ლოცვა რედვიკის იპოდრომზე 20 ივლისის დილამდე გაგრძელდა. დილით უწმიდესმა პაპმა წმიდა წირვა აღავალინა. ანგელუსის შემდეგ პაპმა შემდეგი სიტყვებით მიმართა მორწმუნებს:

“დადგა დამშვიდობების უამი. მადლობას გიხდით 2008 წლის ახალგაზრდობის დღეებში მონაწილეობისთვის და იმედი მაქეს, რომ შეგხვდებით სამი წლის შემდეგ. 2011 წელს ახალგაზრდობის საერთაშორისო დღეები ჩატარდება ესპანეთში, მადრიდში. მანამდე კი ვილოცოთ ერთმანეთისთვის და განვახორციელოთ მსოფლიოში ქრისტეს სასიხარულო მოწმობა. ღმერთმა გაკურთხოთ”.

მოამზადა  
რუსუდან ავალიშვილმა

#### კათოლიკე ეკლესია საქართველოში

#### თბილისის წმ. პეტრე და წმ. პავლე მოციქულთა ტაძრის ზეიმი

29 ივნისს წმიდა მოციქულთა პეტრეს და პავლეს ხსნების დღეა. ეს დღე, ამავე დროს, ამ წმინდანთა სახელზე 1877 წელს ნაკურთხი ტაძრის დღესასწაულიცაა. დილიდანვე ამ ტაძარში მრავალმა ადამიანმა მოიყარა თავი. 10 საათზე ინგლისურენოვანი საზეიმო მსახურება მთავარებისკოპოსმა კლავდიო გუჯეროტიმ აღავლინა. ინგლისურენოვან წირვას უმთავრესად საელჩოების თანამშრომლები და უცხოელი სტუდენტები ესწრებიან. მორწმუნებმა მცირე გუნდიც შექმნეს და ინგლისურ ენაზე ასრულებენ საეკლესიო საგალობლებს.

12 საათზე უკვე ეპისკოპოსმა ჯეზეპე პაზოტომ მრავალრიცხოვან სამღვდელოებასთან ერთად აღავლინა საზეიმო წირვა. საზეიმო მსახურებაში თბილისის საკათედრო ტაძრის მრევლის წევრებიც მონაწილეობდნენ, მათი დიდი უმრავლესობა ხომ კათედრალის ხელახლ კურთხევამდე ამ ტაძრის მრევლს წარმოადგენდა. თითქმის ნახევარი საუკუნის მანძილზე თბილისის წმ. პეტრე და წმ. პავლე მოციქულთა ტაძარი ერთადერთ მოქმედ ეკლესის წარმოადგენდა მთელს კავკასიაში. სწორედ ამიტომაც გამოარჩია თბილისში ვიზიტად მყოფმა პაპმა იოანე პავლე II-მ ეს ტაძარი და ჩამოსვლის პირველ დღეს ესტუმრა კიდეც საქართველოს კათოლიკეთა რწმენის სიმტკიცის სიმბოლოს.

ეპისკოპოსმა ჯეზეპე პაზოტომ მსახურების დროს ქადაგებით მიმართა ტაძარში შეერებილ მრევლს, განუმარტა მათ პეტრესა და პავლეს დღესასწაულისა და პავლე მოციქულის წლის გამოცხადების მნიშვნელობა. მოუწოდა ყველას, განსაკუთრებით კი ახალგაზრდებს, ქრისტეს სიყვარულსა და ერთგულებაში წმ. პავლეს მიბაძონ, გაამახვილა ყურადღება, რომ აუცილებელია მოციქულის ცხოვრებისა და წერილების შესწავლა. ქადაგების დასასრულს ეპისკოპოსმა ყველა ქრისტიანს მიულოცა პეტრეპავლობის დღესასწაული,

განსაკუთრებით კი, პეტრე და პავლე მოციქულთა ტაძრის მრავლს, რადგან ეს დღესასწაული მათთვის ორმაგად სასიხარულოა.

კიდევ ერთი სასიხარულო სიურპრიზი ელოდათ დღესასწაულზე შეკრებილ მორწმუნებებს: საზეიმო წირვის შემდგომ ტაძრის წინამძღვარმა, მამა ადამ ოხალმა ეპისკოპოსი და მრავალრიცხოვანი სტუმრები მიიპატიჟა ახლადმოწყობილი სამრევლო სახლის დასათვალიერებლად. სამრევლო სახლის აღდგენა უბრალოდ ახალი ფართობის შეძენა კი არ არის, არამედ იმ ისტორიული სამართლიანობის აღდგენაა, რომელიც ბოლშევკიური დიქტატურის ძალისხმევით დაირღვა და რომლის აღდგენას სამოციქულო ადმინისტრატორი, მთელი სასულიერო დასისა და მრევლის თანადგომით, უკვე მეორე ათწლეულია ცდილობს.

XIX საუკუნეში თბილისელ კათოლიკებს ქალაქის ტერიტორიაზე მიწის საკმაო ნაკვეთები ჰქონდათ. ტერიტორია, სადაც დღეს პრეზიდენტის კანცელარია იმყოფება, თბილისის კათოლიკური ეპლესის სათიბს წარმოადგენდა. XIX საუკუნის შემდეგში ქალაქის მმართველობას დასჭირდა ეს ტერიტორია მთავარმართებლის სასახლის ასაგებად და სოხოვეს სამრევლოს, დაეთმო მიწის ნაკვეთი, სანაცვლოდ კი მტკვრის მარცხენა სანაპიროზე, სადაც იმხანად იგეგმებოდა ეკროპული ტიპის საცხოვრებელი უბნის მშენებლობა, ლათინური წესის თბილისელ კათოლიკებს გამოუყვეს ვრცელი ტერიტორია. შემდგომში ამ უბანს „ოქროს უბანი“ შეერქვა და იგი პრესტიულობით XX საუკუნის 50-60 წლების ვაკის მსგავსი ელიტარული დასახლება გახდა. სხვათა შორის, ილია ჭავჭავაძემაც ამ უბანში აიშენა საცხოვრებელი სახლი. აქვე ცხოვრობდნენ იგანე ჯავახიშვილი და სხვა ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწეებიც. აქ მდებარეობდა რუს შავრაზმელთა სულიერი ცენტრი – ალექსანდრე ნეველის რუსული ეკლესიაც.

1855 წელს ნიკოლოზის ქუჩაზე (დღევანდელი ი. ჯავახიშვილის ქ. №55) ლათინური წესის კათოლიკეთა თემს ახალი ტაძრის ასაგებად 400 კვ. საუკუნი მიწის ნაკვეთი გადაეცა.

1870 წელს აქ ტაძარიც აიგო. გასაბჭოების შემდგომ ტაძრის ვრცელი ეზო და იქ აშენებული ნაგებობები ეკლესიას ჩამოართვეს და იქ ხელისუფლების ერთგული მოქალაქეები შეასახლეს, რათა მუდმივი მეოვალყურეობა განეხორციელებინათ იქ მცხოვრები მდვდლებისა და მონაზვნებისათვის. მხოლოდ გასული საუკუნის 80-იან წლებში დაიწყო დაბრუნების ხანგრძლივი პროცესი. ტაძრის წინამძღვარს იან სნეუინსკის ერთი ბინა სახელმწიფო ცალკეული კუთილსინდისიერი მოხელეების თანადგომით 1989 წელს დაუბრუნა, უმეტესი ფართობი კი ეკლესიამ თავისი ხარჯებით გამოისყიდა გასული საუკუნის 90-აინ წლებში. რამდენიმე წელია იქ იოანე პავლე II-ის დარბაზი მოეწყო და მცირე ბიბლიოთეკაც ფუნქციონირებს. გასულ წელს ეკლესიის ეზოში გამომავალი შენობის პირველი სართულის შესყიდვაც მოხერხდა.

ეპისკოპოს ჯუზეპე პაზოტოს მონდომებით შესაძლებელი გახდა საჭირო თანხების მოგროვება და ორიოდე წლის წინ შეისყიდეს მიმდებარე შენობის პირველი სართული. ნაგებობა, ისევე როგორც თბილისის ძველი უბნების უმრავლესი შენობები, ავარიულ მდგომარეობაში იმყოფებოდა, ამიტომ სამოციქულო ადმინისტრაციის კურიამ მთელი შენობა შეაკეთა, ამით მადლიერნი დარჩენენ მეორე სართულზე მცხოვრები ოჯახებიც, რომელთა საცხოვრებელსაც საფუძვლიანი რემონტი ჩაუტარდა. საბოლოოდ კი, აღსრულდა ეპისკოპოსის სურვილი, ერთ ჭერქვეშ დაედო ბინა წმ. პეტრე და წმ. პავლე მოციქულთა ტაძრის ეველა მღვდელმსახურს.

ეპისკოპოსის, კურიის, უცხოელ დონატორთა ხელშეწყობითა და ტაძრის წინამძღვრის მამამ ადამის მონდომებით საფუძვლიანი რემონტი წარმატებით დასრულდა და 29 ივნისს, საზეიმო წირვის შემდგომ, მრავალრიცხოვან მრევლს

და ეკლესიის სტუმრებს საშუალება მიეცათ, დაეთვალიერებინათ ერთწლიანი დაუღალავი გარჯის შედეგი – ადდგენილი ნაგებობა, რომელშიც ტაძრის მღვდელმსახურებთან ერთად სამრევლო შეკრებების დარბაზი და სატრაპეზო განთავსდა. ადსრულდა ეპისკოპოსის სურვილიც, რომ მღვდლებს მათთან პრაქტიკაზე მოვლენილ სემინარისტებს (სემინარისტები კი ამ ტაძარში ყოველთვის, თვით საბჭოთა პერიოდშიც კი მრავლად იყვნენ) ერთად ეცხოვრათ. გაუმართლათ საკრებულოს წევრებს, მათ ახლა ორი ახალი დარბაზი დაემატათ შეხვედრებისათვის. როგორც ცნობილია, წმ. პეტრე და წმ. პავლე მოციქულთა ტაძარში 18 წელია, რაც ნერკატეხუმენური საკრებულოები ფუნქციონირებს და კვირაში ორჯერ ატარებენ შეხვედრებს. წმ. პეტრე და წმ. პავლე მოციქულთა საკრებულო კი ყველაზე მრავალრიცხოვანია მთელს კავკასიაში და ტაძრის მრევლის მრავალ მოზარდსა და ახალგაზრდას აერთიანებს. ათეულობით მოზარდი სწავლობს ტაძრის საკვირაო სკოლაში, არდადგებების პერიოდში ტაძართან მრევლის ბავშვებისათვის საქალაქო ბანაკიც ფუნქციონირებს, ახალი დარბაზების შემატება ყველა მათგანს უქმნის უკეთეს პირობებს სწავლისა და ერთმანეთთან ურთიერთობისათვის. ქართველი კათოლიკე მორწმუნებების ისტორიული ქონების დაბრუნების პროცესი გრძელდება, – გრძელდება თავად მორწმუნეთა ძალისხმევით, ყოველგვარი გარეშე სუბსიდიებისა და საერო გრანტების, შედავათების გარეშე, მაგრამ ეს პროცესი სამართლიანია და ამიტომაც ლმრთისთვის სასურველი. ქართველ კათოლიკეთა ძალისხმევა აუცილებლად წარმატებით განხორციელდება.

დასასრულ, მამა ადამმა ყველა სტუმარი უკლებლივ მიიპატიუა საზეიმო ტრაპეზზე, სადაც მასპინძლები და სტუმრები კიდევ დიდხანს უზიარებდნენ ერთმანეთს სიხარულსა და შთაბეჭდილებებს.

წმ. პავლეს საიუბილეო წლის ფარგლებში საქართველოს ახალგაზრდა კათოლიკები სექტემბრის თვეში მომლოცველობას ჩაატარებენ წმ. პავლეს ნაკვალევზე კაპადოკიაში (თურქეთი). სასურველია, თუ სხვა მორწმუნებიც შესძლებენ წმ. პავლეს ნაკვალევზე მომლოცველობას, მისი ნაწერების უკეთ შესწავლას.

## ნუგზარ ბარდაგელიძე

### ჩვენ, ყველანი, ერთნი ვართ ქრისტეში

ქობულეთში, სადგურის ტერიტორიაზე შენდება უფლის ამაღლების ეკლესია, რაც ძალიან სასიხარულო ფაქტია ყველა ქრისტიანისათვის – როგორც კათოლიკე, ისე მართლმადიდებელი მრევლისათვის.

ეკლესიის მშენებლობა ძალიან დიდ თანხებთანაა დაკავშირებული, ამიტომ ყველას ვალია, თავისი მცირეოდენი წვლილი შეიტანოს მის მშენებლობაში. ჩვენ არ ვთვლით თავს უცხოებად და ვცდილობთ, რითაც შეგვეძლება ისე დავეხმაროთ ეკლესიის მშენებლობას: ფინანსურად თუ მუშახელის მხრივ, რადგანაც გვჯერა, რომ ეკლესია, იქნება ის მართლმადიდებლური თუ კათოლიკური, ემსახურება დიდ წმიდა საქმეს – ქრისტიანულ სარწმუნოებას.

თუკი აზერბაიჯანში, ისლამური სარწმუნოების ქვეყანაში, მოქმედებს კათოლიკე ეკლესია, რატომ არ შეიძლება, რომ ერთ მშვენიერ დღეს, უფლის ამაღლების ეკლესიის გვერდით აშენდეს კათოლიკური ეკლესიაც, ამით ქრისტიანობას არათუ მოაკლდება, არამედ მოემატება მლოცველები და კიდევ უფრო გაძლიერდება. ეს კი იქნება ნიშანი იმისა, რომ ჩვენ ვიცხოვრებთ დიდი ქრისტიანული კულტურის ქვეყანაში.

## ქობულეთის საკრებულო

## ხიზაბავრის ეკლესიის ხიზარულისა და მწუხარების წლები

წერილის სათაური შემთხვევით არ ამირჩევია, ის სრულიად შეესატყვისება მის შინაარსს. 84 წლის კაცი ვარ, ბევრი მინახავს და ბევრიც საკუთარ თავზე მიწვნევია. გადმოცემებითა თუ საკუთარი დაკვირვებით, ვიცი, რომ ხიზაბავრის მოსახლეობამ ბევრი ტანჯვა-წვალება გადაიტანა საკუთარი რწმენის – კათოლიკობის შესანარჩუნებლად. ჯერ იყო და მაჭმადიანები გვდევნიდნენ, შემდეგ – სომხები, რუსები, ბოლშევიკები. რწმენისათვის დაიღუპა მრავალი ხიზაბავრელი მორწმუნე და მდგდელი. მაგრამ ჟამთასვლამ ვერ გატეხა ხიზაბავრელი მორწმუნე და მათგან გადმოგვეცა რწმენა, უფლისა და მოყვასის სიყვარული. ალბათ, ყველანი მიხვდებით, ადვილი არ იყო რწმენის შენარჩუნება, მაგრამ ჩვენმა წინაპრებმა ყველაფერი გააკეთეს იმისათვის, რომ არ დაეკარგათ ქრისტიანობა და მშობლიური ენა.

მინდა ზოგიერთი მომენტი გავიხსენო ჩვენი საკრებულოს ცხოვრებიდან: რამდენიმე წლის წინ, მამა იეჟიმ ჩვენთან ერთი ახალგაზრდა მდგდელი – მამა პავლე შჩეპანეკი მოიყვანა და გაგაცნო, როგორც ჩვენი ეკლესიის მოძღვარი. როდესაც უფრო კარგად გავიცანით, მივხვდით, რომ მამა პავლე მართლაც მხერვალე კათოლიკე და ენერგიული მოძღვარი იყო. მან განაახლა ხიზაბავრის იესოს გულის ეკლესია, ხალხი ეკლესიაში მიიზიდა და ჩამოყალიბა საკრებულო. მამა პავლე დადიოდა ოჯახებში, აკურთხებდა და რჩევა-დარიგებას აძლევდა მორწმუნებს. ყოველ შაბათ-კვირას წირვის შემდეგ მიმდინარეობდა ნათლობა-ჯვრისწერისათვის მოსამზადებელი კატეხიზაციები. მანვე შემოიღო ნათლობის, ჯვრისწერისა და გარდაცვალების აღრიცხვის წიგნები. მამა პავლეს ხელმძღვანელობით ჩამოყალიბდა საეკლესიო მგალობელთა გუნდი, მომზადდა მინისტრანტები, რომლებიც აქტიურად მონაწილეობდნენ საეკლესიო ცხოვრებაში. შეიქმნა სპორტული გუნდები. მამა პავლეს ენთუზიაზმი გადამდები აღმოჩნდა და საკრებულოს წევრებიც ერთგულად ამოუდგნენ მხარში საყვარელ მოძღვარს. მას რაიონშიც კარგად იცნობდნენ და ხშირად სხვა სოფლებიდანაც მოდიოდნენ მის მსახურებაზე დასასწრებად. ეპისკოპოსიც კარგად ხედავდა ახალგაზრდა მდგდლის თავდადებას და ხშირად ჩამოდიოდა ხიზაბავრაში, რათა მხარში ამოსდგომოდა მას. სასიხარულოა, რომ მამა აკაკი ჭელიძე სწორედ მისი ხელმძღვანელობით გადიოდა პრაქტიკას ჩვენს საკრებულოში. ასევე აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ მამა ნინო მარტინი 4 დღე არ „ჩამოსულა“ ეკლესიის სამრეკლოდან, სანამ დიდი ზარი არ დაიკიდა.

ხიზაბავრისათვის დიდი ტრაგედია იყო მამა პავლეს დაღუპვა (21 ივლისს მამა პავლეს ტრაგიკული დაღუპვიდან 9 წელი გავიდა). მარტო ჩვენმა სოფელმა კი არა, მთელმა რაიონმა დიდი გლოვით გავაცილეთ დმრთისკენ მიმავალ გზაზე მამა პავლე. დმერთმა ნათლში ამყოფოს მისი სული! მან დრმა კვალი გაავლო ხიზაბავრის საკრებულოს ცხოვრებაში და მისი ხსოვნა დიდხანს დარჩება ჩვენს გულებში.

ძალიან დასანანია, რომ მამა-პაპათვან ასეთი რუდუნებით შემონახული და ჩვენამდე მოტანილი რწმენა ორად იყოფა. 2002 წლიდან მოყოლებული, სხვადასხვა მიზეზთა გამო, 50 ოჯახი გადავიდა მართლმადიდებლურ აღმსარებლობაზე, ზოგიერთი, მართალია, არ გადანათლულან, მაგრამ აღარ დადიან ეკლესიაში. 30 მაისს ხიზაბავრის ეკლესიის ზემზე, ამ ზღვა ხალხში ხიზაბავრელები მხოლოდ 15 % თუ იყო (მაშინ, როცა ხიზაბავრის მოსახლეობა 310 კომლისაგან შედგება), დანარჩენები კი სტუმრები იყვნენ. მადლობელნი ვართ ახალციხის, ვალის, უდის, არალის, ტურცხის საკრებულოების წევრებისა, რომლებმაც სიხარულით გაიზიარეს ჩვენი დღესასწაული. ასევე დიდი მადლობა ჩვენს მდგდლებსა და მონაზვნებს, რომლებიც არასოდეს ივიწყებენ ხიზაბავრას, განსაკუთრებული მადლიურება კი უნდა გამოვთქმათ ჩვენი ეპისკოპოსის მიმართ,

რომელიც ყოველთვის ჩვენს გვერდით დგას და იზიარებს ჩვენს სიხარულსა და სატკივარს. დასანანია, რომ ხიზაბავრის მოსახლეობა ასეთ გულგრილობას იჩენს რწმენის მიმართ, როდესაც მათი წინაპრები საკუთარი სისხლით იცავდნენ კათოლიკობას. მამა პავლეს სურვილიც ხომ ის იყო, რომ გადაექცია ხიზაბავრა მესხეთ-ჯავახეთის კათოლიკურ ცენტრად, მარამ არ დასცალდა.

იმედს ვიტოვებთ, რომ ღმერთი არ მიატოვებს თავის ხალხს, კვლავ აღავსებს სული წმიდის მადლით და მოაბრუნებს მათ მამა-პაპათა სარწმუნოებისაკენ.

ღმერთი იყოს ჩვენი მფარველი!

## გიორგი დათაშვილი

### „კარიტასის“ პროექტები

2008 წლის 24 ივნისს ბათუმის კათოლიკური ეკლესიასთან მდებარე დარბაზში გაიმართა „კარიტასის“ საქართველოქმედო ფონდის, „ღამის თავშესაფარის“ პრეზენტაცია.

ღონისძიებას ესწრებოდნენ: ამიერკავკასიის ლათინური წესის კათოლიკეთა სამოციქულო ადმინისტრატორი, ეპისკოპოსი ჯუზეპე პაზოტო, „საქართველოს კარიტასის“ დირექტორი, მამა ვიტოლდ შულჩინსკი, მამა გაბრიელე ბრაგანტინი, მონაზონი ლორედანა მონეტი, ქ. ბათუმის ვიცე-მერი, ქ. ნათია სურგულაძე, აჭარის უზენაესი საბჭოს დეკუტატი, ბ-ნი როინ ნიუარაძე, ევანგელური ეკლესიის წინამდღვარი, ბ-ნი გარიგ შახნაზარიანი და სხვები.

პრეზენტაცია გახსნა ბათუმის კათოლიკური ეკლესიის წინამდღვარმა, მამა გაბრიელე ბრაგანტინიმ; სტუმრებს სიმღერით მიესალმნენ ქ. ბათუმის მუსიკალური სასწავლებლის ბავშვები; საზოგადოებამ მოისმინა მოხსენება დამის თავშესაფარის ხუთი წლის მუშაობის შესახებ.

თავშესაფარის გახსნის იდეა ჩაისახა რამოდენიმე წლის წინ, როდესაც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, მრავალი ადამიანი, სხვადასხვა მიზეზების გამო ქუჩაში აღმოჩნდნენ უსახლკაროდ დარჩენილები. ამ ხალხის გაჭირვება ნათლად დაინახეს მამა გაბრიელე ბრაგანტინიმ და მონაზონმა ლორედანა მონეტიმ, რომლებიც ხშირად დადიოდნენ სათნოების სასადილოში და ამ სახლის ბინადართათვის ჩამოქონდათ ჰუმანიტარული დახმარება: ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, საკეთი პროდუქტები, მედიკამენტები... ისინი არა მარტო მატერიალურად, არამედ მორალურად და სულიერადაც ყოველთვის მათ გვედში იდგნენ.

ორი წლის განმავლობაში სათნოების სასადილოს ყოველთვიურ ფინანსურ დახმარებას უწევდნენ თჯახები იტალიიდან. დამის თავშესაფარსაც ფინანსურად ეხმარებიან როგორც იტალიელი თჯახები, ასევე შვეიცარიიდან მალტის ორდენის კავალერი.

მამა გაბრიელეს და, აგრეთვე, და ლორედანას დიდი ძალის ხმევით გამოინახა თანხები დანგრეული ფართობის გასარემონტებლად, რომელიც ეკუთვნოდა რესტორან „გემოს“ და უსასყიდლოდ დაგვითმო საქართველოქმედო ფონდის თავმჯდომარემ, ქ-ნმა სვეტლანა კუდბამ.

რემონტს გარკვეული დრო დასჭირდა. თანხა სარემონტო სამუშაოების ჩასატარებლად გამოგვიყო იტალიის საქართველოქმედო ორგანიზაციამ „Cuore amico“, ხელმძღვანელი მდვდელი დონ არმანდო ხოლო.

დამის თავშესაფარი გაიხსნა 2003 წლის 11 მარტს „საქართველოს კარიტასის“ პატრონაჟით, თუმცა ფუნქციონირება, არაოფიციალურად, ორი კვირით ადრე დაიწყო, რადგანაც ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ წლების მანძილზე ქუჩაში ცხოვრობდა უსახლკარო ბრძა ადამიანი, რომელსაც ესაჭიროებოდა გადაუდებელი სამედიცინო დახმარება.

დამის თავშესაფარი ხუთი წლისაა. ამ ხნის მანძილზე აქ იცხოვრა და დახმარება მიიღო 180-მა ადამიანმა.

ამ ადამიანებიდან ზოგიერთს ჩვენი სპეციფიკური დახმარება დასჭირდა: ესენი იყვნენ უმეტესად ქალები, სხვადასხვა ქვეყნის მოქალაქეები, აზერბაიჯანიდან, რუსეთიდან, უკრაინიდან... ისინი თურქეთიდან იყვნენ დეპორტირებულნი და ყოველგვარი საბუთების გარეშე იძულებულნი იყვნენ ეცხოვრათ ბათუმში. ჩვენ თხოვნით მივმართეთ ამ ქვეყნების საელჩოებს, მათ მთავრობებს, რათა აღგენედინა მათვის საბუთები და სწორედ ჩვენი დიდი ძალისხმევის მეშვეობით მოხერხდა ამ ადამიანების სამშობლოში დაბრუნება.

დამის თავშესაფარს გარკვეულ დახმარებას უწევს ევანგელიური ეკლესიის წინამდგარი, ბატონი გარიკ შახენაზარიანი. კერძოდ, ეს ეკლესია უკვე ოთხი წელია, რაც ვახშამს ამზადებს თავშესაფარის ყველა მაცხოვრებლისათვის.

ასევე, ამ წლების მანძილზე გვერდით გვიდგას და პრობლემების მოგვარებაში გვეხმარება აჭარის უზენაესი საბჭოს დეპუტატი, ბ-ნი როინ ნიუარაძე; აჭარის საქველმოქმედო ფონდის თავმჯდომარე, ქ-ნი სვეტლანა კუდბა, ექიმ-ფსიქიატრი ირმა დიასამიძე.

წლების მანძილზე დამის თავშესაფარის მუშაობისას, რა თქმა უნდა, გვქონდა პრობლემები, სირთულეები: ბევრი ჩვენი ბინადარი სვამს, ხშირად არიან აგრესიულები და ესაჭიროებათ სპეციფიკური მკურნალობა, რისი საშუალებაც ჩვენ არ გაგვაჩინია. ამ სახლის ბინადართა სულიერ მდგომარეობაზე გარკვეულწილად აისახება მათდამი პერსონალის დამოკიდებულება, რადგანაც ისინი მწვავედ განიცდიან კეთილგანწყობის, მზრუნველობის დეფიციტს.

ჩვენ ვცდილობთ შეუქმნათ მათ დადებითი გარემო, დაგუბრუნოთ მომავლის რწმენა, ვაგრძნობინოთ თავი დაცულებად.

შეხვედრაზე სიტყვებით გამოკიდენ მამა გაბრიელე ბრაგანტინი, „კარიტასის“ დირექტორი მამა ვიტოლდ შულჩინსკი, ქ. ბათუმის ვიცე-მერი, ქ-ნი ნათია სურგულაძე, ევანგელიური ეკლესიის წინამდგარი, ბ-ნი გარიკ შახენაზარიანი, აჭარის უზენაესი საბჭოს დეპუტატი, ბ-ნი როინ ნიუარაძე.

გამომსვლელებმა აღნიშნეს ამ ინიციატივის მნიშვნელობა და გამოხატეს მხარდაჭერა ამ პროექტის მიმართ. ოფიციალური შეხვედრის დასრულების შემდეგ დამსწრე საზოგადოებამ გადაინაცვლა დამის თავსშესაფრის ახალ შენობაში, რომელიც მდებარეობს ქ. ბათუმში, მეტაქსის ქ. № 10.

დამის თავშესაფარის ახალი შენობა აკურთხა ეპისკოპოსმა ჯუზეპე პაზოტომ. კველამ დაათვალიერა ახლად გარემონტებული შენობა. სტუმრებმა ქმაყოფილება გამოხატეს თავშესაფარის ბინადართათვის კომფორტული გარემოსა და რეაბილიტაციისათვის საჭირო პირობების შექმნის გამო.

საღამო დასრულდა ფურშეტით, რომლის დროსაც სტუმრები ერთმანეთს უზიარებდნენ საქუთარ შთაბეჭდილებებს.

## ირმა ზაქარაძე

თვის წმიდანი

14 ივლისი – წმ. კამილო დე ლელის მოხენიების დღე

## წმიდა კამილოს, კამილიელ ნეტართა და სათხოების მოწამეთა დღესასწაული

წლევანდელ 14 ივლისს კამილიელთა პოლიკლინიკამ „კაცთა მაცხოვარი“ კვლავ გაუღო კარი ნაცნობებსა და მეგობრებს უკვე ტრადიციად ცეულ დღესასწაულზე. წელს პოლიკლინიკამ აღნიშნა თავისი ინაუგურაციიდან ათი წლისთავი და წმ. კამილოს ლიტურგიული მოხენიების დღეს აღვლენილ წმიდა

წირვაში ბერ-მონაზვნებმა და თანამშრომლებმა გამოვხატეთ გაწეული შრომისათვის დმრთისათვის ჩვენი მადლიერების გრძნობა. ძვირფას სტუმრებს შორის იყვნენ წმიდა საყდრის დესპანი საქართველოში, მთავარეპისკოპოსი კლავდიო გუჯეროტი და სამოციქულო მმართველი, ეპისკოპოსი ჯუზეპე პაზოტო, მღვდლები და მონაზვნები, რომლებიც მოღვაწეობენ საქართველოში. ჩვენი წლევანდელი ზეიმი გაიზიარა მართლმადიდებელი ეკლესიის რამდენიმე წარმომადგენელმაც. საკათედრო ტაძრის გუნდს „ალელუიას“ არც ამჯერად უდალატია მეგობრებისათვის და თავისი გალობით დაამშვენა დღესასწაული.

წმ. წირვა აღავლინა მამა იეჟი შიმეროვსკიმ, რომელიც წელს აღნიშნავს მღვდლად კურთხევიდან მეორმოცე წელს. მან თავისი ჩვეული მხურვალებით ნათლად დაგვანახა დმრთიური მოწყალებისა და ქმედითი სიკარულის მნიშვნელობა, წმიდა კამილოს სულისკეთებით.

მხურვალე მასპინძლობა გაუწიეს სტუმრებს წმ. კამილოს სახელობის ფსიქოთერაპიული კაბინეტის აღსაზრდელებებმა მმა რობერტის ხელმძღვანელობით; მათ წირვის შემდეგ წარმოადგინეს დადგმა წმიდა მფარველის ცხოვრებიდან და დიდი მოწონება დაიმსახურეს. კონცერტში მონაწილეობდნენ აგრეთვე ბავშვები, რომლებსაც უხელმძღვანელა და ელსიმ. კამილიელთა ოჯახის წევრებმა კი, რომლებმაც თავიანთი მზადყოფნით უზრუნველყოვეს ზეიმის მოწყობა, უმასპინძლეს სუფრასთან შეკრებილ საზოგადოებას.

წელს, გამონაკლისის სახით, გარემოებათა გამო ზეიმს არ ესწრებოდა კამილიელთა საკრებულოს უფროსი, მამა ნინო მარტინი, რომელმაც თავისი სალამი მოგავწვდინა იტალიიდან და წერილობით გამოხატა თავისი მადლიერება და რემიჯას მიმართ, რომელიც, სამწუხაროდ, სამი წლის მსახურების შემდეგ ტოვებს საქართველოს. დროის სიმცირის მიუხედავად მან თავისი ღიმილითა და უურადღებით წარუშლელი კვალი დატოვა ყველა ჩვენგანში, ვისაც მოგვეცა მასთან ურთიერთობის ბედნიერება. სიტყვები და სამასხოვრო, რითაც საქართველოს კამილიელებმა ვისურვეთ გამოგვეხატა ჩვენი მადლიერება, მხოლოდ მკრთალი, მაგრამ ნამდვილი ნიშანია ჩვენი გრძნობებისა.

წირვის დასასრულს, სტუმრებმა თავიანთი გრძნობები მოლოცვებით გამოხატეს; მათ შორის, ნუნციუსმა კლავდიო გუჯეროტიმ, რომელმაც, სხვათა შორის, ისაუბრა კათოლიკე ეკლესიის მოღვაწეობასა და საქველმოქმედო საქმეებზე, როგორებიცაა, კამილიელთა პოლიკლინიკა და კარიტასი, რითაც რომის პაპი გამოხატავს მზრუნველობასა და პატივისცემას საქართველოსადმი.

დმერთმა ინებოს მეტი ერთგულებითა და მიძღვნით აღვასრულოთ ჩვენზე მინდობილი საქმე.

**პოლიკლინიკის თანამშრომლები**

14 ივლისი 2008

წმ. კამილოს დღესასწაული

### **უძვირფასებო დაო რემიჯია,**

დიდი მწუხარებით მივიღეთ მე და ჩემმა თანამომმეებმა თბილისიდან შენი გამგზავრების ამბავი, რადგანაც შენ მიგიწვიეს სხვა დავალებების შესასრულებლად.

შენ მზის სხივივით სწრაფად გაიელვე ჩვენს შორის, უმშვენიერესი ღიმილივით.

ამისათვის დიდად მადლიერნი ვართ შენი და უფლისა. მადლიერია შენით განსაკუთრებით ის მრავალი ადამიანი, ამ წლების მანძილზე, რომ იღებდი შენ და დახმარების ხელს უწვდიდი გულისხმიერი დასა და დედასავით.

მცირე დროში შენს ირგვლივ შექმენი სიკეთის სამყარო, ძნელად მისაბაძი მაგალითი.

საქართველოში შენს ხანმოკლე, მაგრამ მდიდარ მოღვაწეობაზე ფიქრისას თავისთვის მაგრნდება იგავთა წიგნის სიტყვები (31-ე თავი) ძლიერ და ბრძენ, უფლისმოყვარულ ქალზე რომ ლაპარაკობს. ამოგიწერე ის მუხლები, შენ რომ განსაკუთრებით გიხდება, მიუხედავად იმისა, რომ ვიცი, როგორი მორიდებულიცა ხარ ბუნებით და ყველას წინაშე გაგაწითლებ ამით.

მარჯვე ქალს ვინ პპოვებს?  
მარგალიტებზე მაღალია მისი ფასი.

...  
მას სიკეთე მოაქვს და არა სიბოროტე  
მთელი მისი ცხოვრების დღეებში.

...  
ბეჭითად შრომობს საკუთარი ხელებით.

...  
შორიდან მოაქვს თავისი პური.

...  
დგება ჯერ კიდევ ღამიანად

...  
ძალას შემოირტყამს წელზე  
და იმაგრებს მკლავებს.

...  
თავის ხელისგულს უშლის დარიბს  
და ხელებს უწვდენს უპოვარს.

...  
პირს ხსნის იგი სიბრძნით  
და წყალობის რჯულია მის ენაზე.  
თვალყურს აღევნებს თავისი სახლის გზებს  
და სიზარმაცის პურს არ ჭამს.  
მრავალმა ასულმა მიადწია წარმატებას,  
მაგრამ შენ ყველას გადაძარბე!

...  
უფლის მოშიში ქალი ქებულია.  
მიეცით მას მის ხელთა ნაყოფისაგან  
და მისი საქმეები განადიდებენ მას კარიბჭეებთან.

კიდევ ერთხელ მაღლობა, დაო, რომ ჩვენს შორის დაჰყავი სიყვარულით  
და წარმატებებს გისურვებო შენი მსახურების გასაგრძელებლად ყველაზე  
გაჭირვებულ და სნეულ ძმებს შორის, რომლებსაც უფალი მოანდობს შენს  
მზრუნველობას.

მუდამ მაღლიერებით გვემახსოვრები ჩვენს მუდმივ და ძმურ ლოცვებში.

მ. ივან მარტინი,  
საქართველოსა და სომხეთის კამილიელები,  
თბილისი, პოლიკლინიკის  
„პაცია მაცხოვარის“ მთელი კოლექტივი

ისტორიის ფურცლები

„გვიყვარდეს ერთმანეთი, რადგანაც  
სუყველასათვის არს ღმერთი“

## საპატიოარქოს ჟურნალი “ჯვარი გაზისა”, N2, 1984

საპატიოარქოს საგარეო განყოფილების მოწვევით 1984 წლის 3/16-დან 17/30 პრილამდე საქართველოში სტუმრად იმყოფებოდა ვენის უნივერსიტეტის კათოლიკურ-თეოლოგიური ფაკულტეტის დეკანი, პატროლოგიის პროფესორი, კათოლიკე მღვდელი, დოქტორი ერნეტ ქრისტოფ სუტნერი და მისი თანმხელები პირი – აღმოსავლეთის ეკლესიათა ინსტიტუტის თანამშრომელი, ავგუსტინელთა ორდენის წევრი, ვიუცბურგის მონასტრის წინამდგარი, მამა ცელსტინ პატოკი.

ვიზიტის პირველ დღეს სტუმრებმა დაათვალიერეს თბილისის ტაძრები და ესაუბრნენ ამ ეკლესიათა წინამდგრებს. იმავე დღეს სტუმრებმა მოინახულეს თბილისის კათოლიკური ტაძარი, რის შემდეგაც გაეცნენ თბილისის დიორსესანიშნაობებს, ხოლო სადამოს სიონის საპატიოარქო ტაძარში დაესწრნენ დიდი სამშაბათის ლოცვას.

დიდ ოთხშაბათს, კათოლიკე მღვდლები ერნესტ ქრისტოფ სუტნერი და ცელესტინ პატოკი მიიღო სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ. საუბრის დროს მან ხაზი გაუსვა კათოლიკურ და მართლმადიდებლურ ეკლესიათა ურთიერთობებს საქართველოში, მათ შორის დაწყებულ დიალოგს, გაიხსენა ისტორიული ვიზიტი რომის პაპ იოანე-პავლე II-სთან. საუბარი შეეხო მშვიდობის საკითხს. ილია II-მ აღნიშნა, რომ დღევანდელი, თერმობირთვული ომის საშიშროება გაცილებით უფრო შემაძრწუნებელი შეიძლება იყოს, ვიდრე პიტლერელთა მიერ ჩადენილი საზარელი საქმეები. დღეს, როგორც არასდროს, საჭიროა მსოფლიო ხალხების შემჭიდროება ერთ მოელად, რათ ვიხსნათ კაცობრიობა მოსპობისგან. ჩვენ ამ საქმეში ერთად უნდა ვიყოთ, ეს არის მოელი მსოფლიოს ქრისტიანთა უპირველესი და უპეտილმობილესი მისია. უნდა გვიყვარდეს ერთმანეთი, რადგანაც სიყვარული თვით არს ღმერთი.

პროფესორმა ერნესტ ქრისტოფ სუტნერმა, – აღმოსავლეთის ეკლესიების ისტორიის გამოჩენილმა სპეციალისტმა, გამოთქა სურვილი და რწმენა, რომ მომავალი წლიდან ვენის უნივერსიტეტში წაიკითხავს კურსს – „საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესია“. საუბრის დასასრულს დოქტორმა სუტნერმა პატრიარქ ილია II-ს გადასცა თავისი შრომების ნაწილი, დასტამბული წიგნებად. მან მისი უწმიდესობა მიიწვია აგსტრიაში.

საქართველოს ეკლესიის მწყემსმთავარმა სტუმრებს უძღვნა ქართული სუვენირები და ლიტერატურა საქართველოს ხელოვნებასა და ქართულ ეკლესიაზე. ილია II-მ ასეთივე საჩუქარი გაუგზავნა მის მაღალვოვლადუსამღვდლოებას, ვენის სამეფო კარის მთავარეპისკოპოსს, კარდინალ ფრანც კიონინგს.

დიდ ხუთშაბათს – ფეხთბანვის დღეს, მამა ერნესტ ქრისტოფ სუტნერი და მამა ცელესტინ პატოკი თბილისის სიონის საპატიოარქო ტაძარში დაესწრნენ საღმრთო სადღესასწაულო ლიტურგიას და სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის, ილია II ხელიდან მიიღეს წმიდა ზიარება, ხოლო დიდ შაბათს – ლიტონიობის დღესასწაულზე საქართველოს ეკლესიის სასურველი სტუმრები სრულიად საქართველოს –პატრიარქსა და სიონის ტაძრის სამღვდელოებასთან ერთად დამის 12 საათიდან დილის 7 საათამდე აღავლენდნენ ლოცვებს ბრწყინვალე აღდგომის სადიდებლად.

ვიზიტის დღეებში სტუმრები იყვნენ საქართველოს უძველეს დედაქალაქ მცხეთაში, დაათვალიერეს ჯვრის მონასტერი, სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარი, სამთავროს დედათა მონასტერი, მცხეთის სასულიერო სემინარია და

სხვა დირსშესანიშნაობანი. იმგზავრეს, აგრეთვე, ალავერდის ეპარქიაში, გაეცნენ მოქმედ ეკლესიათა ცხოვრებას.

თბილისში ყოფნის დროს ავსტრიელი სტუმრები იყვნენ საქართველოს ისტორიისა და ხელოვნების მუზეუმებში. პროფესორმა ერნსტ სუტნერმა ინტერესი გამოიჩინა ქართული ფრესკული მხატვრობის მიმართ. ესაუბრა საქართველოს სახვითი ხელოვნების მუზეუმის დირექტორს ბ-ნ თ. სანიკიძეს, რომელმაც მას საჩუქრად გადასცა წიგნი ვენაში ექსპონირებული ქართული ტიხერული მინანქრის შესახებ.

შინაარსიანად წარიმართა მიღება ავსტრია-საბჭოთა კავშირის თბილისის განყოფილებაში, სადაც საქართველოს ეკლესიის სტუმრებს გააცნეს დამმობილებული ქალაქების – თბილისისა და საარბრიუკენის ურთიერთობანი.

სტუმრებმა მოინახულეს, აგრეთვე, სუფ-გვორქის ტაძარი, ევანგელისტ-ბაპტისტთა სამლოცველო სახლი და ებრაული სინაგოგა. იყვნენ თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში. ნახეს ოპერა „ლელა“.

მეტად შთამბეჭდავი იყო ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომის დღეს, ერნსტ ქრისტოფ სუტნერისა და ცელესტინ პატოკის მიერ თბილისის კათოლიკურ ტაძარში აღვლენილი სადღესასწაულო მესა გერმანულ და პოლონურ ენგბზე.

საქართველოში ვიზიტის დასასრულს ქართული ეკლესიის სტუმრები კვლავ შეხვდნენ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, რომელმაც კოოლიკური და მართლმადიდებლური ეკლესიების დაახლოების საქმეში სასიკეთო წვლილის შეტანისათვის გენის უნივერსიტეტის პროფესორი, მამა ერნსტ ქრისტოფ სუტნერი და ვიუცბურგის ტაძრის წინამდღვარი ცელესტინ პატოკი დააჯილდოვა ოქროს ჯვრის ტარების უფლებით.

სტუმრებს საქართველოში მოგზაურობის დროს თან ახლდნენ, მისი ყოვლადუსამღვდელოებობა, მარგველი ეპისკოპოსი ქრისტეფორე (წამალაიძე); დიაკონი მიხეილ თარხნიშვილი და საქართველოს საპატრიარქოს თარჯიმანი დარეჯან ცხადაძე.

### მკითხველები გვწერენ

## ნუ ვიქნებით მერყევნი, მტკიცედ დავიცვათ ჩვენი რწმენა

სულ ახლახანს წავიკითხე „საბაში“ გამოქვეყნებული წერილი ჩვენი ეპისკოპოსის ჯუზეპე პაზოტოს რომის პაპთან, მის უწმიდესობა ბენედიქტე XVI-თან ვიზიტის შესახებ და რომის პაპის სიტყვა მიმართული ამიერკავკასიის კათოლიკებისადმი და ვერ შევძელი ჩემი ემოციების დაფარვა.

მართლაც, გასული საუკუნეების მტკიცნეულმა მოვლენებმა ვერ ჩააქრეს სახარებისეული ალი, რომელიც თაობიდან თობამდე ჩვენმა წინაპრებმა მოგვიტანეს დღემდე. პაპის თითოეულმა სიტყვამ ჩვენს გულებში შეაღწია, სითბომ დაისადგურა და იმედის ნაპერწკალი გაგვიღვივა. ჩემთვის, ახალციხის მკვიდრისათვის კი უფრო ამაღლვებული იყო, როდესაც წავიკითხე ის სტრიქონები, რომ ეპისკოპოსმა რომის პაპს რაბათის ეკლესიის ნანგრევები აჩვენა და მისი კურთხევა სთხოვა. ემოციებმა ცრემლებიც კი მომგვარა, წარმოვიდგინე ის დრო, როდესაც ჩემმა მშობლებმა ამ ტაძარში დაიწერეს ჯვარი. დედაჩემის ნაამბობიდან ვიცი, რომ რაბათის ეკლესია ერთ-ერთი ლამაზი ტაძარი ყოფილა.

სწორედ ამ ამაღლვებული სტრიქონების წაკითხვის შემდეგ საკრებულოს საბჭოს წევრებმა გადავწყვიტეთ, მოგვეწყო ექსკურსია რაბათში ახალგაზრდებთან და ბავშვებთან ერთად. რაბათში მოვინახულეთ ძველი ეკლესიების ნანგრევები და რაბათის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი. აქ ეკლესიის ნანგრევებთან ჩვენ ყველანი ვევედრებოდით უფალს, რომ შეესმინა ჩვენი ლოცვა

და დაგვემარებოდა ეკლესიების დაბრუნებაში და მის აღდგენაში, რათა ჩვენც შეგძლებოდა ეკლესიაში წირვის მოსმენა.

დიდი მადლიერების გრძნობით მინდა აღვნიშნო უწმიდესი პაპის ჩვენდამი გულწრფელი დამოკიდებულება. ვგრძნობთ, რომ ის ყოველთვის ჩვენთანაა, ყველა საკრებულოში და ჩვენს ყოველ სატკივარს იზიარებს. ასევე მადლობელი ვარ მისი გულითადი დალოცვისათვის, იმედია, ღმერთი შეისმენს მის ლოცაკურთხევას და დაგვეხმარება იმ დიდი პრობლემების გადაწყვეტაში და ყველა სატკივარის მოშუშებაში, რაც დღეს საქართველოს კათოლიკურ საკრებულოებს გააჩნია.

მაგრამ ჩვენი მთავარი და უპირველესი ამოცანაა ჩვენ თავად მტკიცედ დავიცვათ ჩვენი რწმენა, არ ვიყოთ მერყევნი, ადგილად ნუ წამოვებებით სხვის მიერ გადმოგდებულ ანკესს (ასეთ ფაქტებს ადგილი ჰქონდა არალის, ივლიტის, უდესა და ხიზაბავრის საკრებულოებში, რის გამოც იქ მცხოვრები კათოლიკენი დიდ გულისტკივის გამოხატავენ). მაშინ უფრო ძლიერი ვიქნებით.

ჩემთვის გაურკვეველია, რატომ ხდება უკანასკნელ პერიოდში მართლმადიდებელის მხრიდან კათოლიკებზე ასეთი ზეწოლა, დამცირება, შეურაცხყოფა და აბუჩად აგდება, ასეთ ფაქტებს, ჯერ კიდევ ახლო წარსულში, ადგილი ხომ არ ჰქონია? მე პირადად ადრეულ წლებში რამდენიმე მართლმადიდებელი ბავშვის ნათლია ვარ, რომლებიც მართლმადიდებლ ეკლესიაში მოინათლენ, მაგრამ, ამის გამო, არავითარ წინააღმდეგობა არ შემხვედრია. ახლა კი რა ხდება? განმეორებითი ნათლობა, თითქოსდა პირველი არ ყოფილა სწორი, ზოგს იმ მოტივით ნათლავენ, გრიგორიანული წესით იყავი მონათლული და არ შეიძლება.

მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენი ნება-სურვილის გარეშე ვერავინ შეძლებს ჩვენს გადანათვლას თუ მკაცრად ვუპასუხებთ: „არა მირონცხება ერთია და განუმეორებელი, – ამბობს უფალი“.

ამ ბოლო ხანებში მეც მქონდა ასეთი შემთხვევა. ერთ-ერთ ეკლესიაში მართლმადიდებელმა მღვდელმა მითხრა: „მე თქვენ კარგად გიცნობთ, განათლებული ქალი ბრძანდებით და ჩვენსკენ როდის მოექცევითო“? მე თითქოს ვერ გავიგე და ვთხოვე გაემეორებინა და დავრწმუნდი, რომ მეორედ მონათვლას – „გადანათვლას“ მთავაზობდა. მე მკაცრად ვუპასუხე: „მამაო, ნათლობა ერთია და ამის შესახებ სარწმუნოების სიმბოლოში – მრწამსშიც ნათლად ჩანს; ჩემს წინაპრებს მმებს ზუბალაშვილებს რამდენი კარგი საქმე აქვთ გაკეთებული კათოლიკური სარწმუნოებისათვის, რამდენი ეკლესია აუშენებიათ და ჩემი ასეთი საქციელით მათ რა პასუხი უნდა გავცე?“ ჩემგან ასეთი პასუხის მოსმენის შემდეგ მღვდელი დაიხარა შუბლზე მაკოცა და დამემშვიდობა. ეს ამბავი იმიტომ მოვყევი, რომ ყველამ იცოდეს, ჩვენი სურვილის გარეშე ვერავინ შეძლებს ჩვენი რწმენის შეცვლას.

ჩვენი საკრებულო ყოველთვის ლოცულობს უწმიდესი რომის პაპისათვის, ამ წერილის შემდეგ კი ახალციხის საკრებულოში განსაკუთრებულად ლოცულობენ მისთვის და დიდ მადლიერების გრძნობით არიან გამსჭვალული მისი გულთბილი სიტყვების, ჩვენი სატკივარის გაზიარებისა და თანადგომის გამო.

ჩვენ კი, მართლაცდა ქრისტეს სახელით მოარულები, მტკიცედ დავიცავთ ჩვენს რწმენას და შევძლებთ ავაგოთ ისეთი საზოგადოება, სადაც იმეფებს მშვიდობა და სამართლიანობა და ადარ ვიქნებით დამცირებული და დათრგუნვილი უმრავლესობის მიერ და თამამად შეგვეძლება ვთქათ: „მე კათოლიკე ვარ“!

ელზა ზუბაშვილი  
ახალციხე

## მართლმადიდებლური პროზელიტიზმი სიცოცხლეში და სიკვდილში

ქუთაისის კათოლიკე მრევლმა ერთ კვირაში ორი ძვირფასი მორწმუნე დაკარგა: ქალბატონები იზო ალფაიდე და დოდო ნებიერიძე; ორივე მათგანი თავიანთი ხასიათითა და ნიჭით აკვებდა საკრებულოს ცხოვრებას და, როგორც ყველა ოჯახში ტოვებს სიცარიელეს ძვირფასი ადამიანის იმქანენად წასვლა, მათი დაკარგვით იგივეს განიცდის ჩვენი საკრებულო.

საქართველოში, მიცვალებულის დაკრძალვას დიდი ტრადიციები არსებობს და, შეიძლება ითქვას, იგი ქართული ტრადიციისა და კულტურის ერთ-ერთი მაჩვენებელი ნიშანია, რაც დადებითად განაწყობს სტუმარსა თუ მასპინძელს, განსაკუთრებით იმ თანაგრძობის, თანადგომისა და დახმარების აღმოჩენის გამო, რასაც ადამიანები იჩენენ არა მარტო საკუთარი ახლობლებისა და მეგობრების, არამედ მეზობლების მიმართაც. ხშირ შემთხვევაში, სწორედ დაკრძალვაზე ხდება მველი წყენის ან გულისტივილის მიტევება. სამწუხაროდ, სწორედ იმ დროს, როდესაც ქუთაისის კათოლიკე მრევლს სურდა ამ ორი მორწმუნის ოჯახის ტკივილი საკუთარ მდვდლებთან და მონაზვნებთან ერთად გაეზიარებინა, სრულიად მოულოდნელად და გაუგებრად ორივე მათგანის ოჯახში, როგორც იზოსთან, ასევე დოდოსთან, ეს ტრადიცია ვერ შესრულდა.

ვინ წარმოიდგენდა ათიოდე წლის წინათ, რომ კათოლიკე მდვდელს თავის მრევლთან ერთად უარს ეტყოდნენ იმ ოჯახში ელოცა, სადაც მისი გარდაცვლილი მორწმუნე ესვენა? სწორედ ასე მოხდა იგნისის თვის თხუთმეტში, ქუთაისში, დოდო ნებიერიძე-გაბრიჩის ოჯახში, რუსთაველის ქუჩაზე და იზო ალფაიძის ოჯახში, კუპრაძის ქუჩაზე.

ქუთაისში, არა მარტო წაგვართვეს კათოლიკური ეკლესია 1989 წელს, აწ ყალბად წოდებული ხარების ტაძარი, არა მარტო ცდილობდნენ ამ წლებში გადაეხირებინათ ტრადიციული კათოლიკური ოჯახების მორწმუნები, კათოლიკზე უამრავი სიყალბის შეთითხნითა და გავრცელებით, სხვადასხვა სახის წნებით, არამედ ამ ბოლო პერიოდში იმასაც ცდილობენ, რომ გარდაცვლილი მორწმუნები წაგვართვან და ამ გზით მოახერხონ ის, რაც მათ სიცოცხლეში ვერ მოახერხეს; სწორედ ახლა, როდესაც მათ არც ლაპარაკი და არც საუბარი არ შეუძლიათ.

უნებურად გვიჩნდება კითხვა: როგორ პატივს სცემენ ოჯახის წევრები თავიანთ მიცვალებულებს, რომლებიც სიცოცხლეში დიდი რწმენით დადიოდნენ კათოლიკურ ეკლესიაში? თუკი მათი სიკვდილის შემდეგ იგრძნეს ახლობლებმა "დიდი ვალი" "მართლმადიდებლური" ლოცვის აღსავლენად, იმისათვის, რომ მიცვალებულები *in extremis* დაეცვათ მარადიული სასჯელისაგან, ხომ არ ნიშნავს, რომ სიცოცხლეში თავიანთი რწმენის გამო მათ ერეტიკოსებად, წყეულებად, სატანებად თვლიდნენ, რადგანაც ისინი ასე მოიხსენებენ კათოლიკებს და კათოლიკე ეკლესიას. თუმცა, რამდენჯერმე სწორედ შვილებმა მოაცილეს ქალბატონი დოდო თავიანთი მანქანით ნიუ-პორტის ქუჩაზე მდებარე სახლში, სადაც სალოცავად იკრიბება ჩვენი მრევლი. სწორედ მისი რძლები და შვილიშვილები გვცემდნენ ასე თავაზიანად პასუხს ტელეფონზე, როდესაც დოდოსთან გვცემდნენ საუბარი. სიტყვები, რაც პირველსავე წუთებში, თანაგრძობის სათქმელად მისულ მ. კარლოს და მონაზვნებს მიაგებეს ეს იყო: "პირველები შენს სანახავად შენი კათოლიკები მოვიდნენ, დოდო. შენ ხომ ასე ცდილობდი ყოველთვის ხიდი გაგედო ორ ეკლესიას შორის, იქამდეც კი, რომ შენმა უფროსმა შვილმა მამა გაბრიელეს შესთავაზა ორივე ეკლესიის მდვდლებს ერთად ელოცათ სწორედ ამ მიზეზით". მერე კი რა მოხდა?

სად გაქრა ასე ნაქები ქართული "შემწუხარებლობა", რომელიც საუბრობს სინაგოგების, მეჩეთების, მართლმადიდებელი, კათოლიკე და პროტესტონტული ეკლესიების გვერდი-გვერდ აგებაზე? ნუთუ ეს სხვების კულტურის წინაშე თავის

მოწონება? სად გაქრა პატივისცემა, სტუმართმოყვარეობა, რომელიც სწორედ ტკივილის, სიკვდილის წუთებში ქრება და კიდევ უფრო გაუსაძლის ხდის ტკივილს? ვინ არის ამის მოსურნე? ვინ ქმნის ქართველებში ამ მიუტევებელ გარემოს, უპატივცემლობას ცოცხლებისა და მკვდრებისადმი, ორ ეკლესიას შორის შეუდლს?

ესენი არიან ადამიანები, რომლებიც ფიქრობენ რომ უველავრის და უველას განსჯა შეუძლიათ. პგრიათ, რომ იციან რა არის კათოლიკე ეკლესია და რა არის მართლმადიდებელი ეკლესია, სინამდვილეში, მათ არაფერი იციან, გარდა თავიანთი უკიცობისა. ქალბატონ იზოს შემთხვევაში, სწორედ ნათესავები იყვნენ, რომლებიც მის სიცოცხლეში არასოდეს დაინტერესებულან თავიანთი ახლობლით და მას შემდეგ, რაც საავადმყოფოში მოათავსეს, ძაღლივით მიაგდეს და აღარ გამოჩენილან. მხოლოდ მ. გაბრიელე, „კარიტასის“ თანამშრომელ ქ-ნ ნანასთან ერთად, უდგა გვერდში ამ წლების მანძილზე და სიკვდილის ბოლო წუთებში და მათ აცნობეს ნათესავებს მისი გარდაცვალება. და ასეთმა ნათესავებმა, თავიანთი ვითომცდა ღრმადმორწმუნეობის ისტერიით შეპყრობილებმა, გამოიტანეს განაჩენი, შემდგარიყო თუ არა კათოლიკური ლოცვა მათ სახლში. ხშირად ახალგაზრდა თაობა, მართლმადიდებელი ეკლესიის სტიქაროსნები წყვეტენ ან აწყვეტინებენ ამ საკითხს ოჯახის წევრებს, აკავშირებენ მათ რომელიმე მღვდელთან და იმასაც მიუთითებენ, რამდენი სანთელი უნდა იქნეს ანთებული.

არცთუ მრავალი წლის წინათ, როდესაც ვინმე კათოლიკე მორწმუნე გარდაიცვლებოდა, რომლის ოჯახიც ოდესლაც კათოლიკე იყო, იმჟამად კი მართლმადიდებელი, დიდი მოწიწებით მოდიოდნენ და გვთხოვდნენ, გვერჩია თუ რისი გაქეთება იყო საჭირო. რამდენჯერ აღუვლენია სრულიად უპრობლემოდ ლოცვა კათოლიკე მღვდელს.

ამ მოკლე ღროში კი რა მოხდა? ნუთუ ქართულ ტრადიციულ ფესვებთან დაბრუნება იმას ნიშნავს, რაც ამ ორი ოჯახის წევრებმა გააკეთეს? ნუთუ ჭეშმარიტ ქრისტიანულ რწმენასთან დაბრუნება იმას ნიშნავს, რაც ისევ ქუთაისში მოხდა ერთ-ერთ ოჯახში, სადაც მართლმადიდებელი მეუღლის გარდაცვალების შემდეგ 80 წლამდე მიღწეული მოხუცი იძულებული გახადეს, საკუთარი ხების საწინააღმდეგოდ (რასაც დაუინებით აცხადებდა), მართლმადიდებლურად გადანათლეს იმ მიზეზით, რომ სამოთხეში მის მეუღლეს ვეღარ იხილავდა? მართლაც გამაოგნებელი ფაქტებია, მაგრამ სავალალოა ის, რომ მისი აღმსრულებლები, საზოგადოებისა და მართლმადიდებლი ეკლესიის თვალში გმირები არიან; ასეთია დღევანდელი ვითარება ქუთაისში.

თუკი მოვლენები ასეთი ფანატიზმით განვითარდება, საინტერესოა სადამდე მივალთ? რა გადაარჩენს ჩვენს კათოლიკე მოხუცებს, – რომლებიც ერველ კვირადღეს, ბავშვობიდან მოყოლებული, გარდა იმ წლებისა, როდესაც კათოლიკური ეკლესია დახურეს და მღვდელ დამიანე სააკაშვილს წირვის აღსრულება შეუწყვიტეს, საოცარი ერთგულებითა და მოწიწებით მონაწილეობები წმიდა წირვაში და იღებენ წმიდა ზიარებას, – რომ გარდაცვალების შემდეგ პატივი მიაგონ მათ რელიგიურ არჩევანს?

მათი შვილები, შვილიშვილები, – იმედი ვიქონიოთ მათ ჭეშმარიტ არჩევანზე, და არა სხვა მოტივებზე, – რომლებიც შეგნებულად არ გაყვნენ თავიანთი მშობლებისა და ბებია-ბაბუების ტრადიციას, შეძლებენ კი გარდაცვალების წუთებში პატივი სცენ მათ იმ მხრიდან, რაც გარდაცვლილის რელიგიური არჩევანით გამოიხატება? უმრავლეს შემთხვევაში სწორედ სანდაზმული კათოლიკები არიან თავიანთი ცრემლიანი თვალებით რომ საუბრობენ საკუთარ შვილებთან და შვილიშვილებთან უთანხმოებაზე და მარტივსულად, დამცირებულად და შებოჭილად გრძნობენ თავს...

მართლმადიდებელი ეკლესიის იერარქია რას ამბობს ამაზე? ქუთაისის მიტროპოლიტმა, რომელიც ინფორმირებული იყო ამ ფაქტზე, განაცხადა, რომ კათოლიკეს უფლება აქვს თავისი რწმენით დაიკრძალოს. სიტყვები კი ითქვა, მაგრამ შემდეგ... სინამდვილეში უფრო მეტი ძალა ჰქონია სტიქაროსნების, ახალგაზრდა მსახურების, მის დაქვემდებარებაში მყოფი მღვდლის სიტყვას; და თუ მართლმადიდებელ ეკლესიას თავისი წესები აქვს (რაც ახვე აქვს კათოლიკე ეკლესიას), საბოლოოდ ბოლო სიტყვა სტიქაროსნებს, ან ეკლესიაში თუ ოჯახში ბოლოს მისულებს ეკუთვნის.

რამხელა უაზრობაა! და მაინც... ქართული საზოგადოება და მართლმადიდებელი ეკლესია ამ გზით მიდის. მინდა ერთი პატარა, დღესდღეობით უმნიშვნელო ფაქტი გაგიმხილოთ, რომელიც ნათლად მეტყველებს იმაზე, რაც ხუთი წლის შემდეგ უკვე უმნიშვნელო ადარ იქნება: არალში, 19 ივნისს, ერთი 103 წლის მოხუცის დაკრძალვა იყო; ოჯახის წევრებმა ლოცვის ადსავლენად კათოლიკე მღვდელი მიიწვიეს, როდესაც მღვდელი ოჯახში შევიდა, ერთმა ქალბატონმა ივლიტიდან, გამართლმადიდებულმა კათოლიკემ, თავს უფლება მისცა ხმამადლა ეყვირა: “კათოლიკე მღვდელს აქ რა ესაქმება, ეს ადამიანი მართლმადიდებელია!” საბედნიეროდ, გვერდით მდგომა ქალმა გააჩუმა და უთხრა, რომ 103 წლის წინათ ამ სოფელში არცერთი მართლმადიდებელი არ ყოფილა. საკითხავია, არა 103 წლის შემდეგ, არამედ სულ რაღაც 5 წლის შემდეგ დარჩება ამ სოფელში ადამიანი, ვინც ამხელა დაპირისპირებას და ამპარტავნებას ამ ქალის მსგავსად უპასუხებს? იგივე პრობლემები ხომ არ იქნება აქაც, რასაც ქუთაისში წავაწყდით ამ დღეებში, თუკი ვითარება არ შეიცვლება?

ამ ორი გარდაცვლილის ოჯახიდან არავის უფიქრია იმაზე, ნამდვილად გამოხატავდა თუ არა მათი საქციელი პატივისცემას ძვირფასი ახლობლის ნებისადმი ან იმ ეკლესიისადმი, სადაც ზიარებას იღებდა; ჩანდა, რომ მათთვის უმთავრესი იყო საკუთარი ნება, საკუთარი ფსევდორელიგიური გრძნობა; გაცილებით მნიშვნელოვანი იყო მართლმადიდებლური კურთხევა, თითქოსდა კათოლიკე მიცვალებულისთვის წარმოთქმული ლოცვა ამ კურთხევას ძალას დაუკარგავდა; თუ ასე ფიქრობენ, გამოდის, რომ კათოლიკური ლოცვა უფრო ძლიერია და შეუძლია კიდევაც მართლმადიდებლურ ლოცვას ძალა დაუკარგოს. რა უსურური ფიქრებია! ასე ხომ ღმრთის ყალბ სურათს ვატარებოთ ჩვენს გულში, ჩვენს სახლში, ჩვენს ლოცვებში; მათთვის გაცილებით მნიშვნელოვანი იყო ის ადამიანი, ვისი ნათლულიც იყო გარდაცვლილი, ასევე თბილისიდან ჩამოტანილი სანთლები: მაგრამ თუკი ნათლობის დროს არ ყოფილა პრობლემა, ახლა რატომ წარმოიქმნა? მათთვის უფრო მნიშვნელოვანი იყო, რომ საზოგადოებისათვის ეთქვათ: “ხომ ხედავთ, ჭეშმარიტი მართლმადიდებლები ვართ”, რომ გვყავს სულიერი მოძღვარი, რომელსაც შეუძლია მართლმადიდებლურიდან კათოლიკური სანთლის გამორჩევა... მათ ავიწყდებათ, რომ რწმენა ემყარება კაცობრიობის ელემენტარულ წესებს; ქრისტე არ მოსულა კაცობრიობის დასაღუპავად, არამედ მის განსაწმენდლად, დასახვეწად, ასამაღლებლად. თუკი დღეს ძნელია სიცოცხლეში კათოლიკედ ყოფნა, მით უფრო ძნელია გარდაცვალებისას, რადგანაც ფიქრობენ, რომ ამ დროს მიაღწევნ მას, რაც მათ სიცოცხლეში ვერ მოახერხეს. ეს არ არის პროზელიტიზმი, რომელიც მხოლოდ შაქრის ტომრით, სამსახურის დაპირებით, საზოგადოებაში სიმშვიდის გარანტით მიიღწევა, არამედ პროზელიტიზმი სიკვდილის დროს ან სიკვდილის შემდეგ. და რა სიამოვნებით ადანაშაულებენ კათოლიკე ეკლესიას ინკვიტიციით უამრავი ადამიანის დასჯაში, რომის პაპის უცდომელობის ერესში, ასევე სხვა აბსურდულ ცოდვებში. ეს უველაფერი საეჭვოა და რეალურად ითხოვს დამტკიცებას; ის, რაც დღეს შეიძლება ვაჩვენოთ, სწორედ მართლმადიდებელი ფანატიზმის მხრიდან წამოსული

ზეწოლაა კათოლიკეთა მიმართ, რამაც რვაფეხსასავით მოიკიდა ფეხი ქართულ საზოგადოებაში, სადაც ყველაფერი ნებადართულია, თვით მიცვალებულთა უპატივცემლობა, იმ ბოლო შესაძლებლობის მოსპობა, რომ მორწმუნე საკუთარი მრწამსის წესით დაიკრძალოს.

კათოლიკობა და მართლმადიდებლობა არ უნდა იყოს ერთმანეთისგან ათიათასი მილით დაშორებული რეალობები; სამწუხაროდ, არასწორი აზროვნება ანუ უკეთ რომ ვთქვათ, აზროვნების შეზღუდულობა, დღეს უფრო მეტად აჩვენებს, რომ ქრისტიანობის ეს ორი რეალობა ერთმანეთში შეურიგებლად და მტრულად არის განწყობილი... რამხელა აბსურდია! რასაკვირველია, ქართულ ტრადიციას და კულტურას გააუსახურებს არა კათოლიკობა ან გლობალიზაცია, არამედ მხოლოდ და მხოლოდ ის ნიშანი, რასაც სუპერ ან ფსევდო-მართლმადიდებელი ოჯახები იქამდე მიჰყავს, რომ უფლებას არ აძლევს “კათოლიკურად” ილოცონ, რადგანაც სატანურად თვლიან, ან გარდაცვლილის ნება-სურვილის გამომხატველი ყალბი საბუთები შეთითხონ; დიახ, ამაზეც კი გვიწევს საუბარი.

როგორ მოვიქცეთ ამ ფაქტების წინაშე? მათი დადგენა, გახმაურება არც ისე ადვილია გამეფებული უვიცობისა და გულგრილობის გამო, რაც პოლიტიკოსთა, არასამთავრობო ორგანიზაციათა, დიპლომატიურ წარმომადგენლობათა მხრიდან იგრძნობა; იმ დუმილის გამო, რაშიც იმყოფება საქართველოს საპატრიარქო, ისინი ხომ თავიანთი დუმილით ამ პროცესებს ეთანხმებიან, ასევე თავისუფალი მასმედიის არარსებობის გამო; გამოსავალი ერთია: ყველა კათოლიკემ უნდა დაწეროს ანდერძი, რომელშიც გასაგებად გამოხატავს თავის სურვილს, რომ მისი დაკრძალვა მოხდეს კათოლიკე მღვდლის ლოცვით. ხოლო თუკი ოჯახს მაინც არ მოესურვება კათოლიკეთა ლოცვა, მაშინ დაკრძალვის დღეს მისი გადასვენება მოხდეს კათოლიკე ეკლესიაში ან იქ, სადაც საკრებულო იკრიბება. თუკი ესეც შეუძლებელი იქნება, სასაფლაოზე დაკრძალვამდე მოხდეს ლოცვა.

კათოლიკე ეკლესიასაც შეუძლია მიმართოს გადანათვლებს, პროზელიტიზმს, ცრუ ინფორმაციებს, კათოლიკე ოჯახში მართლმადიდებლური ლოცვების აკრძალვებს, მაგრამ ეს ნამდვილად არ იქნება საკადრისი და ლირსეული კათოლიკე ეკლესიისთვის. იმ საზოგადოებაში, რომელიც თავს ტოლერანტად ასაღებს ისტორიულად ტრადიციულ რელიგიურ ეკლესიებთან, ნორმალური იქნებოდა, – და ასეც ხდება მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, – რომ გარდაცვლილს ჰქონდა უფლება, მისთვის იმ ტრადიციით ელოცათ, რასაც სიცოცხლეში მისდევდა თავის მოძვართან ერთად, ასევე სხვა ეკლესიების მღვდლებთან ერთად, თუკი ეს აუცილებელი იქნებოდა, მაგრამ მოხდება კი ეს როდესმე საქართველოში?

მართლმადიდებელი და კათოლიკე ეკლესიების შერეული კომისიის თავმჯდომარესთან ერთ-ერთ შეხვედრაზე მეუფე დანიელმა ასე უთხრა მამა გაბრიელეს, მართლმადიდებელ ეკლესიასთან კავშირ-ურთიერთობების საეპისკოპოსო ვიკარს, რომ საქარველო იქნება ქვეყანა, სადაც კათოლიკე ეკლესია თავს ყველაზე კარგად იგრძნობს, ვიდრე მსოფლიოს სხვა ქვეყნებში. რა არის ეს, ტკბილი სატყუარა თუ ტკბილი დაპირება? მანამდე კი, ვიდრე ეს ნეტარი დღე გათენდებოდეს, ჩვენ ისდა დაგვრჩენია, რომ უფლის სიტყვები გავიხსენოთ: “ნეტარ არიან, ვისაც შეურაცხებულებენ და გდევნიან....”.

## ქუთაისის კათოლიკე მრევლი

ინფორმაცია

ახალი წიგნები

## **ფილოსოფიის ისტორია**

სულხან-საბა ორბელიაბის სახელობის თეოლოგიის, ფილოსოფიის, კულტურისა და ისტორიის ინსტიტუტმა ახლახანს გამოსცა ფუნდამენტალური ნაშრომი ფილოსოფიის ისტორია. წიგნის ავტორია ჯანჯიროლამო (ივან) მარტინი, ამავე ინსტიტუტის პროფესორი, რედაქტორი – ზაზა შათირიშვილი.

წიგნში განხილულია ანტიკური ხანის, შუა საუკუნეების, აღორძინების ეპოქისა და უახლესი ფილოსოფიის ფილოსოფიისთა ნაშრომები.

აღსანიშნავია, რომ ივან მარტინის ფილოსოფიის ისტორიაში მკითხველი მიაღწევს ერთდროულად ორ ფუნდამენტურ მიზანს. აღმოაჩენს კლასიკოსი ფილოსოფოსების ნამდვილ სახეს და, ამავე დროს მისი ახლებური გააზრებით ფილოსოფია ხდება, ერთგვარი გაგებით, ჩვენი თანამედროვე.

ასე რომ, მკითხველს შესაძლებლობა ეძლევა ახლებურად გააანალიზოს ყოველდღიურობის პრობლემატური საკითხები.

### **დიალოგი 2007**

გამოვიდა ჟურნალ „დიალოგის“ 2007 წლის გაერთიანებული ნომერი, რომელიც ქრისტიანული ქორწინების საიდუმლოს ეძღვნება.

ჟურნალის ამ ნომერში საფუძვლიანად არის განხილული აღმოსავლურ-დასავლური ეკლესიების სწავლებანი და ტრადიციები ქორწინების შესახებ. ქორწინება სწორედ ის საიდუმლოა, რომლის მიმართაც აღმოსავლეთისა და დასავლეთის ეკლესიებს არ გააჩნიათ წინააღმდეგობები, განსხვავებული შეხედულებები, დაპირისპირების საფუძვლები. ქორწინება სწორედ ის საეკლესიო საიდუმლოებაა, რომელიც ნათლისდებასთან ერთად ერთმანეთთან აერთიანებს რომის კათოლიკე და მართლმადიდებელ მრევლს და ეს სიახლოვე საფუძველს უქმნის ორი ეკლესიის დაახლოებას სხვა სფეროებშიც.

ჟურნალში ვრცელი ადგილი დაეთმო მრგვალ მაგიდას, სადაც მართლმადიდებელი და კათოლიკე მდვდელმსახურები და თეოლოგები მსჯელობდნენ ქორწინების საიდუმლოს შესახებ.

სპეციალური რუბრიკები აქვს დათმობილი ქორწინების ტრადიციებს სხვადასხვა რელიგიებში, ასევე თეოლოგიის, ეკლესიის ისტორიის, ლიტურგიისა და სამართლის სწავლებას ქორწინების საიდუმლოსთან მიმართებაში. ჟურნალში ცალკე რუბრიკა დაეთმო განსხვავებულ აზრსაც, სადაც გენდერულ პრობლემებზეა საუბარი.

ახალი „დიალოგის“ პრეზენტაცია უკვე შედგა სახალხო დამცველის აპარატთან არსებულ რელიგიათა საბჭოში და „კავკასიურ სახლში“, სადაც საზოგადოების დიდი მოწონება და დაინტერესება დაიმსახურა.

ახლო მომავალში დაგეგმილია ყველა კათოლიკურ საკრებულოში მოხდეს „დიალოგის“ პრეზენტაცია.

ჟურნალის შეძენა შესაძლებელია „სანტ ესპერანსას“ და „პარნასის“ წიგნის მაღაზიებში და პიპერმარკეტ „გუდვილში“.

### **ახალგაზრდული გვერდი**

### **მეგობრული ჩემპიონატი ვალეში**

საქართველოს კათოლიკეთა ახალგაზრდული საბჭოს ინიციატივით, როგორც შარშან, წელსაც მრავალი გასართობი და შემცნებითი ღონისძიებებია

დაგეგმილი. ქუთაისში უკვე ჩატარდა მესიგალური ფესტივალი, იგნისი კი ფეხბურთის ჩემპიონატს დაეთმო.

შარშანდელი საფეხბურთო მარათონი საინტერესოდ ჩატარდა. მას დიდი მხარდაჭერა და მოწონება ხვდა წილად. სწორედ ამის გათვალისწინებით, ახალგაზრდულმა საბჭომ გადაწყვიტა, არ უდალატოს ტრადიციას და ყოველი წლის ივნისის თვეში მოეწყოს ჩემპიონატი საქართველოს კათოლიკურ საკრებულოთა გუნდებს შორის.

21 ინვისს ვალეში ერთმანეთს ერკინებოდნენ ახალციხის, არალის, ხიზაბავრის, ვალესა და ივლიტის ფეხბურთელთა გუნდები. დასანანია, რომ წელს უდეს სამრევლოს გუნდმა ჩემპიონატში მონაწილეობა ვერ მიიღო, სამაგიეროდ ვალე ორი გუნდით იყო წარმოდგენილი. გადავწყვიტეთ, მოხალისე ვალელი ფეხბურთელებისათვის მიგევცა შანსი, მოესინჯათ საკუთარი ძალები.

დღე იყო ძალიან დაძაბული და ხმაურიანი, არ წყდებოდა გულშემატკივართა ყიუინა და გამახნევებელი შეძახილები. დღის ბოლოს გამოირკვა ორი ნახევარფინალისტი – ვალეს ორივე გუნდმა ასახელა საკუთარი სოფელი და დამსახურებულად მოიპოვა ფინალის საგზური.

პარალელურად მიმდინარეობა ჩემპიონატი დასავლეულ საქართველოშიც, სადაც ოზურგეთის ჯგუფმა დამაჯერებლად გაიმარჯვა და ნახევარფინალში გავიდა.

28 იგნისს ჩატარდა ფინალი. ერთმანეთს ხვდებოდნენ ოზურგეთისა და ვალეს საკრებულოს გუნდები. შეჯიბრი მეტად დაძაბული და სანახაობრივად საინტერესო აღმოჩნდა. ბიჭები თავს არ ზოგავდნენ, ყველა ცდილობდა ბოლომდე დახარჯულიყო და გამარჯვება მოეტანა საკუთარი გუნდისათვის. ვალელები უფრო ძლიერნი აღმოჩნდნენ მეტოქეზე და დამსახურებულად გავიდნენ ფინალში.

ფინალში კი სტადიონზე ვალეს ორი გუნდი ერკინებოდა ერთმანეთს. ვალელებისათვის ძნელი იყო რომელიმე გუნდის გამორჩევა და მისთვის გულშემატკივრობა, მათთვის ხომ ორივე გუნდი მშობლიური და საყვარელი იყო. დაძაბულ და შეუპოვარ ბრძოლაში გამარჯვება ვალეს საკრებულოს გუნდს ხვდა წილად.

პირველ და მეორე ადგილებზე გასულ გუნდებს მედლები გადაეცათ, ხოლო ფინალისტებს ფორმები ერგოთ საჩუქრად.

მინდა ახალგაზრდული საბჭოს სახელით დიდი მადლობა გადავუხადო მამა კარლოს, რომელიც ვალეში ფინალურ მატჩზე დასაწრებად ჩამოვიდა. აგრეთვე მამა ზურაბს, რომელიც სამხრეთ საქართველოში ჩატარებული მატჩების ორგანიზატორი იყო და თავი არ დაუზოგავს, რომ ეს ჩემპიონატი სანახაობრივად და შინაარსითაც საინტერესო ყოფილიყო. ასევე, მადლობას ვუხდით ყველა მოთამაშეს და გულშემატკივრებსაც.

ჩვენი უპირველესი მიზანი საქართველოს კათოლიკური საკრებულოების ახალგაზრდების გაცნობა-დამეგობრება იყო და, ვფიქრობ, ამ მატჩით ეს შევძელით.

ვიმედოვნებ, მეგობრობის ეს პატარა მარცვალი, რომელიც დღეს ჩაითესა, მომავალში დიდ ნაყოფს გამოიდებს და ყველანი ძლიერი, ერთიანი კათოლიკ ეკლესიის დირსეული წევრები ვიქნებით.

## თამრიკო ჩიტაშვილი

საგანგებო ჩანართი

კლავდიო გუჯეროფი

# კულტურულ ეპოქათა შრეებში შემორჩენილ რელიგიურ გამოხატულებათა მდგრადობა და ცვალებადობა. კავკასიის მაგალითი

(დასასრული; დასაწყისი იხ. „საბა“ №7, 2008 წ.)

მშენების კულტურა. თითქოსდა რა საერთო უნდა ჰქონდეს მას ამ სისხლით, შერისძიებითა და ნგრევით გაფლენილ სცენებთან? ამაზრზენი ხატება მტრის მოჭრილი ხელისა, რათა მოხისხლეს სიკვდილის შემდეგაც არ მიეცეს მოსვენება; მისი თავმოჭრილი სხეული, რათა მის მიერ მოკლულს იმქვეუნად მსახურად ედგეს. სამწუხაროდ, ამგვარი ქმედებანი სრულად როდი ჩაბარდა ისტორიას, რაშიც კავკასიაში მოხედარი ზოგიერთი ბოლოდროინდელი კონფლიქტიც გაარწმუნებს. ულმობელი კანონი, რომელიც ღირსების სახელით სიკვდილს თესავს, სწორედ მათ შორის, ვინცა ამ ღირსების დაცვას ცდილობდა. ვაჟაცობასთან დაპირისპირებული ქალურობა. რელიგიები, რომლებიც ცეცხლით შანთავენ ხალხებს, რათა მათ სამარადისო მტრობა ჩაუნერგონ. და ღმერთი, რომელიც ფატუმისა თუ მოირას მსგავსად, სადღაც შორს, თავის შეუცნობელ გზებს სახავს და, კაცთათვის მიუწვდომელი, თავის სახეს არასდროს და არსად გვიმჟღავნებს, რელიგიური ლიტერატურის გარდა. მისი სახელით, კანონები კიდევ უფრო ხისტი ხდება. ის ხომ ამათუმ მიწის, ამათუმ ხალხის ღმერთია და ვინც მიწასა და ხალხს კარგავს, ის ღმერთსაც კარგავს.

ხსოვნა, აი რა სუფეს ყველგან და ყველაფერში. ტრადიცია ცოცხალი ხსოვნაა, თუნდაც მკვდრებისა, რომლებიც საბოლოოდ არც კი მომკვდარან. ისინიც ხმას ამოიდგამენ, ღირსების უზენაესი კანონების მოსახმობად.

ასეთ კონტექსტში, როგორ უკავშირდება ეს უზენაესი და შეუვალი ღირსება, ეს ანტიკური და გარდაუვალი ბედისწერა ქრისტიანობას, რომლითაც ეს ხალხი ესოდენ ამაყობს და რომელთა შორისაც ესოდენ ღრმად გაიდგა ფეხვი (თანაც, ეს მოხდა არა რამდენიმე ათეული წლის წინათ და, ამდენად ქრისტიანობა მათოვის ახალი ხილი როდია) არამედ იმ უსსოვარ ხანაში, რომელსაც თავად ეს ხალხები თავიანთ ხელმეორე დაბადების ხანად მიიჩნევენ (აქაც, სიტყვა „უსსოვარი“ შედარებითია, ამ ერების მართლაც უსასრულო ხსოვნის ფონზე)? ამგვარი რელიგიურობა ბევრად უფრო მეტადაა შთაგონებული ძეელი აღთქმით, ვიდრე სიყვარულისა და გულმოწყალების ღმერთის განკაცებით.

მართლაც, აქ ქრისტეს ხსენებაც კი არაა, თუ არ ჩაგთვლით ქართულ წმინდა რელიგიურ ლიტერატურას (მაგალითად, უდიდეს პაგიოგრაფიულ ლიტერატურას). აქაური ჩვეულებისამებრ, ჯვრის წინაშე ხალხი გარდაცვლილებს მოიგონებს; მათი უძვირფასესი წმინდანის - წმიდა გიორგის ყოვლისშემძლე ხატს თავიანთი სურვილების შესრულებას სთხოვენ; ქართველთა განმანათლებელის, წმიდა ნინოს ხატის წინ კი ღმერთს სამშობლოს ავედობენ. და თუ ქრისტეს ჯვარზე სიკვდილს (ხალხის მიერ ღმერთის უარყოფის სიმბოლოს) გაისხენებენ, ეს თანამოსაუბრეში გაოგნებას იწვევს, რომლიდანაც მას მხოლოდ იმის შეგნება თუ გამოიყვანს, რომ, მართალია ქრისტეს სიკვდილი ღირსების შემლახველი ძალადობის უდიდესი გამოვლინებაა, მაგრამ ქრისტე ღმერთი ამ ღირსებას მაინც არ კარგავს, რადგან იგი თავისი სიცოცხლის ფასად სამართლიანობას აღადგენს და ამდენად, თავშეწირვისას იგი მორალურად გამარჯვებული გამოდის, ისევე როგორც ქართველი გმირები. ამდენად, აქ საქმე არც მეორე ლოფის მიშვერასთან გვაქს და არც მიტევებასთან. ეს ხომ ღირსებისა და თავმოყვარების საწინაღმდეგოა ქმედებაა, სამართლიანობის აღდგენის მოვალეობისათვის თავის არიდება. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ ეს კავკასიელებისათვის მეტად სამძიმო საქციელი, არც სხვა კულტურებისთვისაა აღვილად მისაღები.

შემთხვევითი როდია, რომ ქართველები, როგორც წესი, ცუდი თვალით უკურებენ პაციფისტების დემონსტრაციებს, რომელთაც დასავლური მასობრივი საინფორმაციო საშუალებები გადმოცემენ ხოლმე. მათი აზრით, ეს ლაპრობის გამოვლინება – სამშობლოს, ისტორიის, კულტურისა და უფლებების დაცვის მოვალეობისათვის თავის არიდება. მშვიდობა ნებისმიერ ფასად? არავითარ შემთხვევაში! როგორ გადარჩებოდა საქართველო, ასე ლაპრულად რომ მოქცეულიყო? მეორეს მხრივ, ყოფილა კი ოდესმე კავკასიაში ხანგრძლივი მშვიდობა? ხანმოკლე მშვიდობიან პერიოდებს ქვეყნისათვის აუგვავდება მოპქონდა ხოლმე, რასაც ისევ გამყინვარების ხანა მოსდევდა. ზოგჯერ, მოსისხლე თუ მეგობრის სამოსელში გახვეული მტრის წინაშე ქართველ კაცს თავის მოკატუნება, თავშეკავება და პირში წყლის ჩაგუბებაც კი უწევდა, განსაკუთრებით საბჭოთა დასმენების ეპოქაში.

ამიტომაცაა, რომ ესოდენი სიამაყით შეჰყურებენ სამხედრო აღლუმებზე თავიანთ მომძლავრებულ არმიას – მათი დირსების გარანტის, მიუხედავად იმისა, რომ კომუნიზმისშემდგომი საყოველთაო სილარიბის ფონზე მისი შენახვა დიდ ხარჯებთანაა დაკავშირებული.

რა თქმა უნდა, გლობალიზაციამ, მომხმარებლური საზოგადოების ჩამოყალიბებამ, დასავლეთის მითმა, ოკენისგაღმელი ძალების ინტერესებმა დიდი გავლენა იქონიეს ერის ხსოვნასა და ყველაზე ფესვგადგმულ ტრადიციებზეც კი. და ეს მხოლოდ დასაწყისია ამ პროცესისა. მომავალი გვიჩვენებს, ისეთივე მტკიცე აღმოჩნდება თუ არა ეს ტრადიციები ეკონომიკის კანონების მიმართაც, როგორიც იესოს მცნების მიმართ აღმოჩნდა, რომელიც, გარკვეული დათქმებით, მაგრამ მაინც შეითვისა. ძნელია მშვიდობა დამკვიდრდეს იქ, სადაც ჯერ კიდევ შემორჩილია შობადობის რეგულირებისა და ევგენიტიკური სელექციის ავადსახსენებელი პრაქტიკა, რომელიც რეალურმა სოციალიზმა დაუპირისპირა დედობის ტრადიციულ კულტს (ქალი საქართველოში ყოვლისშემძლეა, როგორც დედა და ერთგვარად, გარეშე თვალს მოფარებული, როგორც მეუღლე): ათობით აბორტი ერთ სულ ქალზე, თანდაყოლილი სიმახინჯის მქონე ახალშობილთა სისტემატიზაციი და სავალდებულო მოცილება საექიმო პერსონალის მიერ, რასაც ადგილი ჰქონდა კომუნისტურ ეპოქაში; თუმცა დღესაც, როცა ამგვარი რამ აღარ ხდება, საკმაოდ დაბალია იმის შეგნება, რომ ახალშობილის სიცოცხლე წმიდათაწმიდა და ხელშეუხებელია.

რა თქმა უნდა, სხვების მსგავსად, ამ კულტურასაც სჭირდება შეხვედრები, კამათი, წამახალისებელი მაგალითები და ზოგჯერ, სახოთირო, თუმცა კეთილგანწყობილი კითხვების მოსმენაც. მასაც სჭირდება სხვათა ჭეშმარიტად ფასეული გამოცდილებისა და მიღწევების გაზიარება.

ერთი რამ კი უეჭველია (და ეს კავკასიურის გარდა, უამრავ სხვა კულტურასაც ეხება): ჩვენს მიერ ზემოთ განხილული კულტურული პორიზონტები გვიმტკიცებს, რომ ის კატეგორიები, რომლებიც ევროპული კულტურისათვის თავისთავად ცხადია, ამ კულტურებისათვის სულაც არ არის ასეთი. დაე, დასავლეთი თავს ნუ მოიტყუებს იმით, რომ ადამიანის უფლებათა პოსტილუმინისტური ეპოქის ენა, რაც თავისთავად უდავოდ დიდი მონაპოვარია, ავტომატურად გასაგები და თარგმნადი იქნება ამ კულტურათა ენაზე. ეს სალონური საუბრები თუ თეორემები ადვილად ვერ იმუშავებს იქ, სადაც მშვიდობა, თუნდაც ზავის გაგებით, იმდენადვე სასურველია, რამდენადაც იშვიათი. ხოლო თუ უცხო კულტურული გამოცდილებისა და სისტემების ნაყოფი და, ამდენად, არასასურველი დემოკრატიის ცნება კიდევ ერთ, ზოგჯერ მატერიალური საზღაურის ფასად თავსმოხვეულ კატეგორიად წარმოჩნდა, მან შეიძლება ძლიერის კანონისა და კავკასიისათვის კარგად ნაცნობი გარედან ძალადობის ფორმა მიიღოს. რა თქმა უნდა, მატერიალური დახმარების

ფასად შეიძლება ერთგულადაც მოაჩვენო თავი, მაგრამ ამგვარი ერთგულება სანდო არ იქნება.

მართალია, საქართველოში, განსაკუთრებით კი მის კულტურულ ელიტაში ყოველთვის იყვნენ ადამიანები, რომლებიც ყოველგვარ უცხოურს, განსაკუთრებით კი ეკრანებს, თანამედროვებისა და პარგახსნილობის მოდელად მიიჩნევდნენ. ურბანიზაციამ და დომინირებულმა პროდასავლურობამ კი ეს ტენდენცია შეიძლება (თუნდაც ძალაუნებურად) კიდევ უფრო გააძლიეროს, მაგრამ ძირითად კულტურულ მოდელად, თუმცა დღეს უფრო შერბილებული სახით, სწორედ ჩვენს მიერ ზემოთ აღწერილი მოდელი რჩება.

ამიტომ, ცოტა არ იყოს, მომაბეზრებელი ხდება დასავლელ ყოვლისმცოდნე პოლიტიკოსთა შეგონებები, რომ ადამიანის უფლებები და მშვიდობა თავისთავად ცხადი კატეგორიებია, თითქოს თვითონ დასავლეთს ამ მხრივ ყველაფერი წესრიგში პქონდა სულ უახლოეს წარსულშიც კი.

ამგვარ გარემოში, თვით რელიგიებიც კი ორჯოფულ მდგომარეობაში არიან, და თავიანთი საგანძურიდან, სახარებისეული ენით რომ ვთქვათ, “ძველი და ახალი ნივთების” ამოღება უწევთ, თანაც (და ეს გულწრფელად უნდა ითქვას) ხშირად ამის გაკეთება გარედან ზეწოლის ქვეშ უხდებათ, რის გამოც იძულებულნი ხდებიან ყოველ ჯერზე სულ უფროდაუფრო ძველი თუ ახალთახალი ნივთები გამოაჩინონ. როცა დიდი ხნის მანძილზე არარსებულ და უცხო ძალის მიერ ხანგრძლივად თავსხმოხვეულ პოლიტიკურ ხელისუფლებას ეკლესია ჩაენაცვლება, იქმნება იმის საფრთხე, რომ იგი საყოველთაო კარგახსნილობის კი არა უსამართლო ეთნოცენტრული კარჩაკეტილობის ფაქტორად იქცეს. ამიტომ, აღმოსავლეთისგან განსხვავებით, ქრისტიანობასა და ისლამს, ყოველგვარი თეოლოგიური წიაღსვლების გარეშეც ესმით ერთმანეთის, თუმცა უფრთხიან ერთმანეთს. საქმე ისაა, რომ სოციალური მოდელი, რომელმაც მათი ცხოვრების წესი ჩამოაყალიბა, ერთნაირია; მათი პრობლემებიც ერთნაირია და პასუხებიც. მაშინაც კი, როცა ერთმანეთს მტრობენ, აღმოსავლელები უკეთ იცნობენ ერთმანეთს, ვიდრე დასავლელს შეუძლია აღმოსავლელის გაცნობა, თუნდაც რომ მასთან ქრისტიანული რწმენა აერთიანებდეს. აღმოსავლელებს არ უჭირთ ერთიერთმანეთის რეაქციების გამოცნობა. ფუნდამენტალიზმი ერთი მუჭა ფანატიკოსების ახირება როდია, როგორც პგრიათ. იგი მისი ცდუნებაა, ვინც ყოველგვარი ერმენევტიკის გარეშე, პრინციპების მარადიულობას ისე ჩასჭიდებია, როგორც მაშველ რგოლს, რათა ქედი არ მოიხაროს და არ გაჰქრეს. ფუნდამენტალიზმის ალტერნატივა მაშინ გაჩნდება, როცა შესაძლებელი გახდება ყოველგვარი ძალდატანების გარეშე იქნას წაკითხული წმიდა ტექსტები, და არა მხოლოდ მათი მარადიულობის, არამედ მათი, ერთგარად გამომწვევი ახლებურობის კუთხითაც, და არც იმის შიში იქნება, რომ ამით შექმნილი დესტაბილიზაცია საკუთარი არსებობისათვის საბედისწერო აღმოჩნდება.

ისიც გასათვალისწინებელია, რომ რელიგიური განზომილება ხშირად ფენოვან ხასიათს ატარებს და წარმოდგენები თუ ქვევები ხშირად დიაქრონულად თანაარსებობენ (როგორც ეს საქართველოს მაგალითზე ვნახეთ, ან სინქრონულადაც, როგორც ეს კილიკიის ეპოქის სომხეთის მაგალითიდან ჩანს) და ერთი რელიგიიდან თუ ერთი კულტურიდან მეორეში ჩაედინებიან, ხშირად საკმაოდ მასიურადაც. ამიტომაც საუკუნეების მანძილზე გაბატონებული რელიგია ამათუმ კულტურის შიგნიდან შეიძლება წაკითხულ იქნას გარკვეული კულტურული პრიზმის გავლით, რომელიც მას განუმეორებელ შუქს ანიჭებს და ამდენად, შეუძლებელს ხდის ნებისმიერ უმართებულო განზოგადებას. ამ შრეების გარჩევის უნარი და სათანადო ძალისხმევა აუცილებელი იარაღებია არა იმდენად რელიგიური რეალობის გამოწვდილვით შესასწავლად, რამდენადაც მისი სისრულისა და მაცოცხლებელი საჭიროებების შესაცნობად,

რისთვისაც საჭიროა გავთავისუფლდეთ საყოველთაო მარადიულობისა და უცელელობის ყალბი მითებისაგან, თუკი ასეთი რამ არც მკაცრად დადგენილია და არც სასარგებლო. ეს რელიგიურ დაწესებულებებსაც გაუადვილებს იმის მიხედრას, თუ რატომაა, რომ ხშირად მათი ქადაგებები თუ საქმენი, მათივე განზრახვის საწინააღმდეგოდ, ადრესატის მიერ არასწორადაა გაგებული და დამახინჯებულად აღიქმება.

სანამ სამართლიანობის გარანტად თავად სახელმწიფო არ იქცევა (ერისა თუ ცალკეულ პიროვნებათა ძალისხმევით), კლანური სტრუქტურების მიერ ღირსებისა და თაგმოყვარეობის დაცვის კანონი (ზოგჯერ როგორი არაადეკვატურიც არ უნდა იყოს იგი) რადაც ობსკურანტული არჩევანი კი არა, ერთადერთი საშუალება იქნება მოსპობისაგან თავის დასაცავად (განსაკუთრებით, სუსტი მხარისათვის). ამიტომაც, სახელმწიფო დაწესებულებანი ვალდებული არიან მაფიოზურ სტრუქტურებზე მეტი ნდობა მოიპოვონ.

და მაინც, როგორც ზემოთ ვეცადე მეჩვენებინა, კავკასიას, მიუხედავად თავისი უთვალავი ნიუანსებისა, ეთნოსებისა და, ხშირად, აკადემიური ცრუმეცნიერულობისა (სადაც თეზა წინ უსწრებს დამტკიცებას და ყოველთვის აცხადებს, რომ ყველაზე ადრე სწორედ “ჩემმა” ერმა აღმოაჩინა, იგრძნო, განათლდა და ა.შ.), მიუხედავად ამ ყველაფრისა კავკასიას ყოველთვის შესწევს უნარი თავისი შინაგანი სამყაროდან გამომდინარებ ისწრაფვოს სამართლიანობის და მშვიდობისაკენ.

თუმცა, არ უნდა დაგვავიწყდეს ორი წინაპირობა: პირველი ისაა, რომ ეს შეიძლება მოხდეს მხოლოდ საკუთარი კულტურული გარემოს ფარგლებში. ბებია ქალი შეიძლება რამდენიმე იყოს, დედა კი მხოლოდ ერთი. ბებია ქალი კი, თავისი საქმე რომ შეასრულოს, სრულყოფილად უნდა იცნობდეს ბავშვის მდგომარეობას, რომელსაც უვლის და იმ ოჯახსაც, რომელსაც ემსახურება (სიტყვა “ემსახურება” შემთხვევით როდი ვიხმარე). ამიტომაც, “უფლებების” უცხოელ განმგებელთ თუ “გარანტებს” ნაკლები პრეტენზიულობა მართებთ. მაპატიეთ და, არც ნაკლები ქედმაღლობა და უვიცობა აწყენდათ “სხვა” კულტურებთან ურთიერთობისას (რომლებიც, ყველაფრთან ერთად, რაოდენობრივადაც ბეგრინი არიან და, სხვა თუ არაფერი, თავიანთი რიცხოვნობით დათრგუნავენ დასავლელ ბებია ქალებს). საჭიროა ამ კულტურებისათვის ყურის გდება, მათი გაგება და თანაგრძნობა, თუმცა ეს იოლი საქმე არაა, რადგან ე.წ. ჩამორჩენილობა, ფსიქოლოგიური თუ მატერიალური თვალსაზრისით, შესაძლოა მეტად მძიმე ასატანი იყოს მისთვის, ვინც ასეთ გარემოში ცხოვრებას ჩვეული არაა. საჭიროა ისეთი კულტურული შეამავლები, რომლებიც გარემოებათა გამო კი არა, მოწოდებით, შინაგანი პატივისცემის გრძნობითა და გაწონასწორებული ემპათიით იმუშავებენ. ეს ყვავილები კი უდაბნოში არ იზრდება. საამისოდ ჰუმური, ანუ ნოყიერი ნიადაგია საჭირო.

მეორეც, ამ კულტურების განხილვა შეუძლებელია მათი მეხსიერების გათვალისწინების გარეშე, რომელიც მათივე მეობის ძირითადი ღერძია. მართალია, მეხსიერება კონსერვატულობის მასაზრდოებელია, მაგრამ იმავდროულად იგი ნებისმიერი ევოლუციის პირობაცაა. რაც არ დაბადებულა, ის ვერც გაიზრდება. ერთადერთ გამონაკლისად რჩება სინჯარაში ჩასახული, უცნობი მშობლების ბავშვები (ჩემი პირადი შეხედულებით, ესეც მეტად საწუხარო შემთხვევაა, სწორედ იმიტომ, რომ ჰკლავს მეხსიერებას, იმთავითვე უსპობს ნაყოფს მის უპირველეს უფლებას – იცნობდეს საკუთარ მამას და, შეძლებისდაგვარად, გვერდით ჰყავდეს იგი).

როგორც ვნახეთ, კავკასიის მაგალითი ცხადყოფს, რომ შესაძლებელია ჩაწვდე ყოფის დრამატულობას და, ამდენად, მისი განგრძობითობისა და ზრდის აუცილებლობას, როგორც ფიზიკურ, ასევე მეტაფიზიკურ განზომილებაში.

ქართული კულტურის წიაღიძანაც გადმოედინება ძველბერძნული (გავიხსენოთ ანტიგონე), შექსპირისეული თუ მრავალი სხვა თანამედროვედ მუღერი ავტორის ტრაგედია: დაპირისპირება კანონის (მათ შორის რელიგიურის) აბსოლუტურობასა და მასში არსებულ (და არა აუცილებლად მის წინააღმდეგ მიმართულ) კონფლიქტურობას შორის. თუ სტუმარ-მასპინძლობა და შურისძიება, სიყვარული, მეგობრობა, მმობა და ეთნიკური თუ რელიგიური დაპირისპირება შეიძლება აღქმულ იქნას, როგორც თემთან დაპირისპირებული პიროვნების დრამა (თემთან, რომელიც ასევე დასაფასებულია, როგორც წეს-ჩვეულებების კანონიერი მოდარაჯე), მაშინ ასეთი კულტურა ნოყიერი, ან პოტენციურად ნოყიერია: უპირველეს ყოვლისა კი საქმე გვაქვს საზოგადოებასთან, რომელიც ერთი საერთო საზრუნვავითაა (ზურუ) შეკრული და რომელმაც შეგნებული აქვს, რომ აპოდიქტურობა და კანონების ნებისმიერ ფასად აღსრულება ვერ უზრუნველყოფს სამართალს ცალკეული პიროვნებისათვის და ვეხს ვერ აუწყობს დროისა და გარემოებათა ცვლილებებს; ესმის, რომ საკუთარ ფესვებზე ზრუნვასთან ერთად აუცილებელია განმავითარებელი სულისკვეთებაც, რათა არ მოხდეს იმავე ფესვების ხმობა.

ვაჟა-ფშაველას მაგალითი და მისი მიგნებანი, რომლებიც, შეიძლება ითქვას, საუკეთესო სახით წარმოგიდგენს მთელ ამ კულტურას, გვარწმუნებენ, რომ ერთიდაიგივე ნორმები შეიძლება გავრცელდეს მუსულმან ჩეჩენებსა და ქრისტიან ხევსურებზე; რომ შესაძლებელია მმა უწოდო იმას, ვინც ყველას მტრად მიაჩნია, თუკი მას პატივს სცემ; და რომ მის გამო შეიძლება მთელს მის ერსაც პატივი სცე, თუნდაც ეს ერი შენი მტერი იყოს; რომ ქალი შეიძლება მოიხიბლოს იმით, რაც წესებით გერძალება, თუკი ამას გული და გონება კარნახობენ; და რომ პატივისცემაზე დამყარებული ეს საქციელი თვით მისმა ქმარმაც კი მოუწონოს; რომ, როგორც იმავე ავტორის კიდევ ერთ პოემაშია (პოემა “გველისმჭამელი”, რომლის განხილვასაც ამჯერად, სამწუხაროდ, ვერ ვახერხებთ), ადამიანს შეიძლება მიეცეს დვოიური უნარი ცხოველთა და მცენარეთა ენის ამოცნობისა, სამყაროსეული “სიბრალულის” შეგრძნობისა, რაც ყოველი ქმნილებისადმი თანაგრძნობასა და პატივისცემას გულისხმობს, ტირილს მისი ტანჯვა-ვაების გამო, უარის თქმას ცხოველისა თუ ფრინველის ხოცვაზე, მისი ხორცის ჭამასა თუ ამათუიმ სახით გამოყენებაზე, თუნდაც რომ უგრძნობელი საზოგადოება გაიძულებდეს მოსპო ის, რისი კვნესა და ჩივილიც ყურს ჩაგესმის. ყოველივე ამის მომაკვდინელ შედეგებს იგივე საზოგადოება საკუთარ თავზე იწვევს, როცა ბუნების ენასთან ერთად, მათი გმირი თავის კაცობასაც კარგავს, რომელიც მხოლოდ მას აძლევდა ძალას წინ აღდგომოდა შემოსეული მტრის ძალადობას. ყოველივე ამის შემდეგ, განა შეიძლება იმის თქმა, რომ თანამედროვეობის შემოტანა მხოლოდ გარედანაა შესაძლებელი? ჩვენს მიერ განხილული თემები სწორედაც თანამედროვეა და მრავალსაუკუნოვანი კულტურის წიაღიძან გადმოედინება, თუმცა ამის გაგება მხოლოდ მას შეუძლია, ვისაც მათი სიღრმისეული წაკითხვა ხელეწიფება და არა მხოლოდ ბრმად და ზედაპირულად გადამდერება.

მაშინ მშვიდობაც, რომელიც ლამის მამობილიზებელ და ყოვლისმომცველ ლოზუნგამდე დავიდა (მათ შორის, იმის გამოც, რომ უგულვებელყოფილია ქართული და მსგავსი კულტურების გამოცდილება, რომლებსაც, ხებით თუ უნებლიერ, ომთან პქონდათ საქმე), გააზრებული იქნება, როგორც ღწვისა და ძიების პროცესი და არა როგორც კიდევ ერთი სინკრეტული დოგმა. მას ხელი შეეწყობა, რათა იქცეს მშვიდობიან დამოკიდებულებად იმის მხრიდან, ვინც მეორე, მისგან განსხვავებული მხარის წვლილს დააფასებს და მიიღებს კიდევ, თუმცა გაჭირვებით და შესაძლოა ერთგვარი უნდობლობითაც, რადგან საქმე ეხება პატარა და ქანცგაცლილ ერს, რომელსაც არ სურს გაქრობა.

## პოლონეიზაცია

ამ ჩემი ნააზრევის წერა რომ დაგასრულე, შაბათ საღამოს თბილისის ოპერის თეატრში “რიგოლეტოს” დავესწარი. წარმოდგენის ბოლოს, ჩემმა ქართველმა მეგობარმა, რომელმაც პირველად მოისმინა ეს ოპერა, მითხრა: “ღირსებისა და შურისძიების ამბავია, როგორც ჩვენთან ხდება”. ეს ოპერა 1851 წელს დაიწერა ფრანგი მწერლის, ვიქტორ ჰიუგოს ნაწარმოების (“მეფე თავს იქცევს”) მიხედვით. მას შემდეგ 200 წელიც არ გასულა. ჩემთვის ცხადი გახდა, რომ ის, რაც საქართველოში დღეს აქტუალურია, ევროპაშიც აქტუალური იყო არცთუ ისე დიდი ხნის წინათ. იქვე, კითხვაც გამიჩნდა: შესაძლებელი თუ არა ეს მარტივი დასკვნა კულტურის სხვა ასპექტებზეც გავრცელდეს?